პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 44-ე წელი
№ 103 (12919)

სამშაბათი, 5 მაისი, 1964 წ.

ფასი 2 კაპ.

შრომა, მშვიდობა, კომუნიზმი!

საბჭოთა ხალხმა მთელი მსოფლიოს მშრომელებთან ერთად დიდი გეიმით იდღესასწაულა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის, ყველა ქვეყნის მუშათა ერთიანობისა და ძმობის დღე — 1 მაისი.

საპირველმაისო ზეიმი იყო საბჭოთა ხალხის მონოლითური ერთიანობის, ლენინური პარტიის ირგვლივ მისი მტკიცედ დარაზმვის მძლავრი დემონსტრაცია.

მოსკოვი. მავზოლეუმის ტრიბუნაზე 1964 წლის 1 მაისს. მარცხნიდან მარჯვნივ — აჟუმა ოგინგა ოდინგა, ნ. ს. ხრუშჩოვი, აჰმედ ბენ ბელა, ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი ა. ნ. კოსიგინი, ნ. მ. შვერნიკი. ფოტო ვ. სავოსტიანოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ლენინიზმის დროშით!

პირველი მაისი! წითელი მოედანი. კრემლის ძველი კედლები. ზომიერ მოკავშირე რესპუბლიკების გერბები. ფრიალებს წითელი დროშები. ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის, კომუნისტურ მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის მგზნებარედ მოგვიხმობენ საპირველმაისო ლოზუნგები. მოედანზე მარქსის, ენგელსის, ლენინის დიდი პორტრეტებია.

გრანდიული ტრიბუნებზე არიან დედაქალაქის საწარმოთა, მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობათა მშრომელები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მუშაკები, სახელმწიფო და პარტიული მოღვაწეები. რამდენია აქ საზღვარგარეთელი მეგობარი!

აქვე არიან დიპლომატიური კორპუსის წევრები, სსრ კავშირში უცხოეთის საელჩოთა სამხედრო ატაშეები.

ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, ვ. ვ. გრიშინი, ლ. ნ. ეფრემოვი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ი. პოლიაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. ა. რუდაკოვი, ვ. ნ. ტიტოვი, ა. ნ. შელეპინი.**

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად არიან „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი, ალჟირის პარტიის — ეროვნული განთავისუფლების ფრონტის გენერალური მდივანი, ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი აჰმედ ბენ ბელა, კენიის მმართველი პარტიის — აფრიკელთა ეროვნული კავშირის ვიცე-თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა მინისტრი აჟუმა ოგინგა ოდინგა, მოსკოვში მყოფი კუბის რევოლუციური შეიარაღებული ძალების პოლიტმუშაკთა ჯგუფის ხელმძღვანელი, რევოლუციური შეიარაღებული ძალების პოლიტსამმართველოს უფროსი მაიორი ხოსე კაუსე.

მავზოლეუმის მარჯვენა ფრთაზე არიან საბჭოთა კავშირის მარშლები და ჯარების გვარეობათა მარშლები, საბჭოთა შეიარაღებული ძალების ადმირალები და გენერლები.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა რ. ი. მალინოვსკიმ მიიღო პარადის სარდლის პატაკი, ჩამოუარა ჯარებს, მიესალმა მათ შრომელთა საერთაშორისო დღესასწაული და შემდეგ მავზოლეუმის ცენტრალური ტრიბუნიდან წარმოთქვა სიტყვა. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელითა და დავალებით იგი მიესალმა და მიესალმა ჯარისკაცებსა და მატროსებს, სერჟანტებსა და ზემდგებებს, ოფიცრებს, გენერლებსა და ადმირალებს, საბჭოთა კავშირის შრომელებს, ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს, პარტიის — ეროვნული განთავისუფლების ფრონტის გენერალურ მდივანს აჰმედ ბენ ბელას, საზღვარგარეთელ სტუმრებს შრომელთა საერთაშორისო დღესასწაული. ამ დღეს, თქვა თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა ხალხი ცხადყოფს შესანიშნავ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში, თავის მონოლითურ შეკავშირებას შშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით. ახალი მიღწევებით სოციალიზმის მშენებლობაში აღნიშნავენ პირველი მაისის დღეს სოციალისტური ქვეყნების შრომელები.

შემდეგ თავდაცვის მინისტრმა ილაპარაკა იმპერიალიზმის რეაქციულ წრეებზე, რომლებიც წინანდებურად აღვივებენ ომის ფსიქოზს, განაგრძობენ გამალებულ შეიარაღებას.

დასასრულ ამხ. რ. ი. მალინოვსკიმ თქვა, რომ საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრები, რომლებიც აღზრდილი არიან მარქსიზმ-ლენინიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით და მზადყოფნაში არიან შეიკავშირებულნი კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მომზადებულნი სოციალისტური ქვეყნების არმიებთან ერთიან მზყობრნი მუდამ მზად არიან გაანადგურონ ყოველი აგრესორი, თუ იგი გაბედავს თავს დაესახოს ჩვენს სამშობლოსა და სოციალისტურ ქვეყნებს.

მზყობრი ნაბიჯით ჩაუარეს ტრიბუნებს სამხედრო აკადემიების მსმენელებმა და მასწავლებლებმა, სამხედრო სასწავლებელთა კურსანტებმა, ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის დივიზიის ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა, სუვოროველებმა და ნახიმოველებმა.

მოედანზე გაისმის მოტორთა გუგუნი. მოდიან ტანსის მ. ი. კალინინის სახელობის მოტომსროლელი დივიზიის გვარდიელები, ავტომანქანები და თვითმავალი საარტილერიო დანადგარები, რომლებზეც სპაიერო-სადესანტო ჯარები არიან. შემდეგ ჩაიარეს გვარდიული ქანტემიროვის დივიზიის ტანკებმა და შეწყვეტილშა საზენიტო თვითმავალმა საარტილერიო დანადგარებმა. სულ უფრო იზრდება არტილერიის კალბრი.

მოედანზე მოდიან სნეადასნეა კლასისა და დანიშნულების რაკეტები, რომლებსაც შეუძლიათ პირველი ან მეორე გასროლით მოსპონ თანამედროვე თვითმფრინავები; ტაქტიკური და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების ქვეგანაყოფები; ნაწილები და შენაერთები, რომლებიც შეიარაღებული არიან დიდი სიმძლავრისა და სროლის სიშორის ატომურმუხტიანი რაკეტებით.

წითელ მოედანზე პირველად აჩვენებენ ახალ მრისხანე იარაღს — შეწყვეტილ რაკეტებს, რომლებიც დამონტაჟებული არიან თვითმავალ გასაშვებ დანადგარებზე.

პარადში კვლავ მიიღეს მონაწილეობა შორი უპილოტო დამჭერი რაკეტების ქვეგანაყოფებმა. ჯარებში ამ რაკეტების თვისებისა და სასწავლო სროლის გამოცდილებამ ცხადყო მათი განსაკუთრებული სამედოობა და მაღალი საბრძოლო შესაძლებლობანი, რათა მოსპონ საპაერო-კოსმოსური თავდასხმის ყოველი თანამედროვე საშუალება. მოედანზეა სახელოვანი წყალქვეშა ფლოტის მრისხანე შორსმსროლელი რაკეტები, რომლებსაც შეუძლიათ სტარტი აიღონ წყალქვეშა მდგომარეობიდან და დიდი სიმძლავრის ატომური მუხტებით გაანადგურონ აგრესორის ობიექტები ყოველი კონტინენტის სიღრმეში.

სამხედრო პარადი დამთავრდა იმით, რომ ჩაიარეს სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარებმა — ჩვენი ქვეყნის მთავარმა რაკეტულ-ატომურმა ძალამ.

ჩვენს შეიარაღებულ ძალებს აქვთ ისეთი იარაღი, რომელიც გაანადგურებს ყოველ აგრესორს. ჩვენი მძლავრი სამხედრო ტექნიკის საპირველმაისო პარადმა სწორედ ეს მოაგონა მათ და გააფრთხილა ისინი.

• • •

წითელ მოედანზე გაისმის „ვაშას“ შემახილები, ყველგან გაბაფხულის საუცხოო ფერებია. თავის სიმარჯვეს, ძალასა და ოსტატობას აჩვენებს დედაქალაქის ახალგაზრდა თაობა. სპორტსმენები იწყებენ მოსკოველთა სადღესასწაულო მსვლელობას.

მათ მოჰყვებიან მოსკოვის რაიონების კოლონები. დემონსტრანტებით აივსო წითელი მოედანი, და იგი იცქცლის სახეს, ფრიალებენ ალისფერი დროშები, ტრანსპარანტები და პლაკატები.

კოლონების მრავალფეროვანი და ბრწყინვალე სადღესასწაულო გაფორმება მოწმობს განვლილი დიადი ათწლეულის შედეგებს, როცა სსრ კავშირი შევიდა ახალი ისტორიული განვითარების ხანაში. საბჭოთა ადამიანებმა, რომლებიც ახორციელებენ კომუნისტური პარტიის გრანდიოზულ პროგრამას, სკკპ XXII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი პლენუმების გადაწყვეტილებებს, თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზაზე.

მოსკოველებს მოოქვთ შრომით გამარჯვებათა პატაკები. მათ ვადამდე შეასრულეს ოთხი თვის გეგმა. ლამაზად არის გაფორმებული მოსკოველ ენერგეტიკოსთა კოლონა. მათ დამსახურებულად მოიპოვეს პირველობა საბჭოთა კავშირის ენერგეტიკოსთა შეჯიბრებაში.

ბევრი პანო, მაკეტი, ტრანსპარანტი და პლაკატი მიეძღვნა სახალხო მეურნეობის ქიმიზაციას.

ქიმიური ბოჭკოებისაგან შექმნილი ახალი ქსოვილების ნიმუშებს აჩვენებენ „ტროიხგორნაია მანუფაქტურის“ ფეიერვერკი.

„განვაორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადწყვეტილებანი!“ — ამ დევიზით მოდიან კალინინის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების კოლონაში „ნამგალი და უროს“ მეტალურგები. ისინი უპატაკებენ თავიანთ შრომითს წვლილს სახალხო მეურნეობის ქიმიზაციაში.

მავზოლეუმს ჩაუარეს მოსკოველმა მშრომელებმა — მუშებმა, მეცნიერებმა,

(დასასრული მე-2 გვ).

პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე

1 მაისი კრემლის ყრილობათა სასახლეში

წითელ მოედანზე საპირველმაისო პარადისა და მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ კრემლის ყრილობათა სასახლეში სადილი გამართეს პარადის და დემონსტრაციის მონაწილეთა პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. მ. შვერნიკი, ვ. ვ. გრიშინი, ლ. ნ. ეფრემოვი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ი. პოლიაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. ა. რუდაკოვი, ვ. ნ. ტიტოვი, ა. ნ. შელეპინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრები, ცენტრალურ უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, საბჭოთა კავშირის და ჯარების გვარეობათა მარშლები, საბჭოთა არმიისა და საამხედრო-საზღვაო ფლოტის გენერლები, ადმირალები და ოფიცრები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, კოსმონავტი მფრინავები, მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, საბჭოთა საზოგადოებრივის წარმომადგენლები. სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა მოწინავეები.

სტუმრებს შორის იყვნენ პარტიის — ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის გენერალური მდივანი, ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი **აჰმედ ბენ ბელა**, პარტიის — ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები: საგარეო საქმეთა მინისტრი **აბდელ აზიზ ბუთეფლიკა**, ეროვნული ეკონომიკის მინისტრი **ბაშირ ბუმაზა**, სოციალურ საქმეთა მინისტრი **მოჰამედ სმგირ ნეკაში**, ალჟირის არმიის გენერალური შტაბის უფროსი პოლკოვნიკი **ტაპაარ ზბირი**, ეროვნული კრების დეპუტატი ქალაქ ალჟირისაგან **ჯუსინ ზეჰუანი**, აგრეთვე სახელმწიფო მინისტრი **აბარ უზგანი**. სადილზე იყვნენ კენიის მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან კენიის მმართველი პარტიის — აფრიკელთა ეროვნული კავშირის ვიცე-თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა მინისტრი **აჟუმა ოგინგა ოდინგა** და პრემიერ-მინისტრის კანცელარიის სახელმწიფო მინისტრი **ჯოზეფ მურუმბი**, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი **დოლორეს იბარური**, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის წევრები, სხვა უცხოელი სტუმრები.

სადილზე იყვნენ საბჭოთა კავშირში აკრედიტებული მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

ნ. ს. ხრუშჩოვმა წარმოთქვა სადღეგრძელობები, რასაც მხურვალედ გამოეხმაურნენ დამსწრენი. შემდეგ შეკრებილთ მიმართა **აჰმედ ბენ ბელამ.** მან აღნიშნა: „მცირი ალჟირელი ხალხის წარმომადგენლები ბედნიერი არიან, რომ იმყოფებიან შეკრებილებთან ერთად, მათთან ერთად იზიარებენ შრომის დღესასწაულის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დღესასწაულის სიხარულს.

დღეს, თქვა ბენ ბელამ, ჩვენ დავესწარით ხალხის ზეიმს. თუმცა ახალგაზრდები ვართ, მაგრამ გვაქვს დიდი რევოლუციური გამოცდილება, და ჩვენ მშვენივრად ვხედავთ, რომ თქვენი ხალხი მთავრობასთან ერთად არის, ეს კი დიდმნიშვნელოვანია.

ამხანაგმა ბენ ბელამ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში მან და მისმა თანამგზავრებმა უკეთ გაიცნეს საბჭოთა ქვეყნის ცხოვრება. „კერძოდ, ძალიან სასარგებლო იყო მგზავრობა უზბეკეთში, — თქვა პრეზიდენტმა. — იქ შეხვედრებოდა გვჭირდა გავცნობოდით მშიერ ელს, რომელიც ახლა ნაყოფიერების მიწა ხდება. ეს გრანდიოზული ცდაა, რომელიც თქვენი ხალხის სასახელოა, თქვენ მიერ არჩეული პოლიტიკური ხაზის სასახელოა“.

საპატიო სტუმარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ალჟირმა აირჩია სოციალისტური განვითარების გზა. მან თქვა, რომ ალჟირელი ხალხი მუდამ საბჭოთა ხალხის, საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობარი იქნება. „ამ მხრივ ჩვენ საბოლოო არჩევანი მოვახდინეთ“, — განაცხადა ბენ ბელამ.

ბრძოლა რევოლუციური გარდაქმნისათვის, განაგრძო ბენ ბელამ, კვლავ ჩვენი ძირითადი ამოცანაა. ამ ბრძოლას მოვახმართ მთელ ჩვენს ღონისძიებებს. ჩვენ მონაწილეობას მივიღებთ ამავე დროს იმ წმიდათა-წმიდა ბრძოლაში, რასაც აწარმოებენ ხალხები, რომლებიც ჯერ კიდევ იტანჯებიან კოლონიალიზმის მონობაში, იქნება ეს ანგოლა თუ სამხრეთი აფრიკა. ჩვენ მხარს დავუჭერთ განმათავისუფლებელ ბრძოლას, რასაც აწარმოებენ პალესტინის დაბრუნებისათვის.

აჰმედ ბენ ბელამ გამარჯვება უსურვა ალჟირისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მარადიულ მეგობრობას, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს, დღეგრძელობა უსურვა ამ მოძრაობათა ყველა წარმომადგენელს, მთელი მსოფლიოს მშვიდობას, ალჟირელი ხალხის დიდ მეგობარს — ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს.

სადილზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ლ. ი. ბრეჟნევმა** წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხანაგ **აჰმედ ბენ ბელასათვის** საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ და გადასცა მას გმირის ოქროს ვარსკვლავი და ლენინის ორდენი.

ლ. ი. ბრეჟნევმა გულთბილად მიულოცა ახალგაზრდა ალჟირის რესპუბლიკის მეთაურს. აჰმედ ბენ ბელამ მხურვალე მადლობა გადაიხადა მაღალი ჯილდოსათვის.

სადილზე ვრცელი სტუდია წარმოთქვა ამხანაგმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა.**

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინეს. მისი სიტყვის დროს არაერთხელ გაისმა მქუხარე ტაში.

შემდეგ ნიკიტა სერგის-ძემ ადღეგრძელა საბჭოთა პროფკავშირები, ახალგაზრდობა, სახელოვანი კომკავშირი, მოსკოვის საქალაქო და საოლქო პარტიული ორგანიზაციები, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები. დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ სიტყვებს, რომლებითაც ნ. ს. ხრუშჩოვმა გამარჯვება უსურვა სოციალისტური ქვეყნების ძმურ თანამეგობრობას, მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებს, უცხოელ სტუმრებს. კვლავ იგრიალა ტაშმა, როცა ნ. ს. ხრუშჩოვმა ადღეგრძელა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატები დოლორეს იბარური და აჰმედ ბენ ბელა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა წარმოთქვა კოსმონავტთა, მეცნიერთა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა სადღეგრძელო.

სამხედრო პარადის მონაწილეთა სახელით სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა **რ. ი. მალინოვსკიმ.** (საკდესი).

ამხანაგ აჰმედ ბენ ბელას საგზოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა

ამხანაგ აჰმედ ბენ ბელას თავლსაჩინო დამსახურებისათვის გმირი ალჟირელი ხალხის თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ორგანიზაციაში, რომელმაც თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა კოლონიალიზმის წინააღმდეგ მსოფლიოს ხალხთა ბრძოლის დიად საქმეში, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ალჟირის ძმური მეგობრობის დამყარებასა და განვითარებაში მისი დიდი როლის აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს, პარტიის — ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის გენერალურ მდივანს ამხანაგ აჰმედ ბენ ბელას მიანიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და მას გადაეცემა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“. (საკდესი).

კენიის მთავრობის დელეგაცია მოსკოვიდან გაემგზავრა

კენიის მთავრობის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ კენიის მმართველი პარტიის — აფრიკელთა ეროვნული კავშირის ვიცე-თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა მინისტრი აჟუმა ოგინგა ოდინგა (დელეგაციის მეთაური) და კენიის პრემიერ-მინისტრის კანცელარიის სახელმწიფო მინისტრი ჯოზეფ მურუმბი, რომელიც ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა სსრ კავშირში, 2 მაისს საღამოს მოსკოვიდან პეკინს წავიდა. (საკდესი).

ბროშურად გამოვიდა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ბარათი

„პარტიის კურსის — სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის კურსის განხორციელებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი“

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ ბროშურად გამოუშვა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ბარათი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისადმი „პარტიის კურსის — სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის კურსის განხორციელებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი“.

ბროშურა გამოშვებულია მასობრივი ტირაჟით.

5 მაისი საბჭოთა პრესის დღეა

პარტიის მებრძოლი იარაღი

დღეს 5 მაისია — საბჭოთა პრესის სახელოვანი დღესასწაული. ორმოცდათორმეტი წლის წინათ 1912 წლის 5 მაისს დაიბადა გაზეთი „პრავდა“ — საბჭოთა პრესის დედაბოძი.

„პრავდის“ ისტორია განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა პრესის სახელოვან ტრადიციასთან, რომელსაც ლენინმა ჩაუყარა საფუძველი. საბჭოთა პრესა რევოლუციური ბრძოლებისა და სოციალისტური გარდაქმნების, დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ხალხის უკვდავი გმირობის, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის მატიანეა.

„საბჭოთა პრესის მუშაკები, — აღნიშნა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, კომუნიზმისათვის მებრძოლთა დიდი არმიის ერთ-ერთი მოწინავე რაზმია, პარტიის მებრძოლი დამხმარენი, ანუ, როგორც ჩვენ ვეუწოდებთ მათ, ხალიმედო თანაშემწენი არიან. პარტიული ჟურნალისტები შრომობენ ხალხისათვის, ხალხის სამსახურია მათი ცხოვრებისა და მუშაობის აზრი.

საბჭოთა პრესის საპატიო მოვალეობაა დაუეჭრომლად, მთელი მგზნებარებით შეაქონდეს მასებში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, რაზმავდეს და წარმართავდეს ხალხის შემოქმედებითს ძალებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განსავითარებლად, ახალი ადამიანის აღსაზრდელად... გაბედულად უჭერდეს მხარს ყოველივე მოწინავესა და პროგრესულს, ამხილებდეს ნაკლოვანებებს და ხელს უწყობდეს მათს აღმოფხვრას.

საბჭოთა პრესა გამოხატავს პარტიისა და ხალხის კოლექტიურ აზრსა და კოლექტიურ გამოცდილებას, იგი იწერება და კეთდება ხალხის ხელით.

მთელი საბჭოთა პრესის მუშაკებთან ერთად საქართველოს ჟურნალისტებიც თვალსაჩინო წარმატებებით ხვდებიან სახელოვან დღესასწაულს. გადავფურცლოთ თუნდაც ჩვენი გაზეთების უკანასკნელი წლის ნომრები, გავიხსენთ რადიოსა და ტელევიზიის გადაცემები. ამ ერთ წელიწადში რამდენი დიადი ამოცანა იდგა პრესის წინაშე. პარტიამ, ხალხმა რამდენი ხიბლე, თაოსნობა, ინიციატივა წამოაყენეს. ყველაფერ ამას ხომ უნდოდა კოლექტიური ორგანიზატორი, პროპაგანდისტი და აგიტატორი. და ამ პატრიოტულ ამოცანას წარმატებით ართმევენ თავს ჩვენი გაზეთები, რადიო და ტელევიზია.

დიდია ჩვენში პრესის ძალა. ახლა ძნელია მოიძებნოს ადამიანი ჩვენს ვრცელ ქვეყანაში, რომელსაც გამოწერილი არ ჰქონდეს გაზეთი ან ჟურნალი. 150 მილიონზე მეტი კაცი ისმენს რადიოგადაცემებს, 40 მილიონზე მეტი კაცი იკრიბება ტელევიზიის ეისფერ ეკრანთან. მარტო ის ფაქტი, რომ გაზეთების ერთჯერადმა ტირაჟმა 88 მილიონს მიაღწია, იმაზე მეტყველებს, თუ რა გატაცებით უყვართ პრესა საბჭოთა მკითხველებს.

ახე მრავალრიცხოვანია საბჭოთა პრესის აუდიტორია, რაც, ბუნებრივია, განსაკუთრებით ზრდის ჟურნალისტების პასუხისმგებლობას, მოითხოვს შემოქმედებითს ოსტატობას, მხატვრულად სრულყოფილ და შინაარსით მაღალ-იდეურ ნაწარმოებებს, სიახლის გრძნობას.

მკითხველთა გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ახალი წარმატებებისაკენ, საბჭოთა პრესის მუშაკებო!

მოგილოცავთ საბჭოთა პრესის დღესასწაულს!

ლენინიზმის დროშით!

(დასასრული)

ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა, პედაგოგებმა, ექიმებმა, მსახიობებმა, მუსიკოსებმა, მხატვრებმა, სტუდენტებმა... სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები უპატაკებენ სამშობლოს თავიანთ შრომითს წარმატებებს.

მოსკოვორეკის რაიონის კოლონაშია ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხნის ემბლემა. „ლენინის საქმის ერთგულნი ვართ!“ — აცხადებენ ილიჩელთა თანამედროვე თაობის წარმომადგენლები. ეს ღრმად სიმბოლურია. საბჭოთა ადამიანები თავიანთ წინსვლას, დიდი მიზნისაკენ ამოწმებენ ვლადიმერ ილიას-ძის იდეებითა და ანდერძით.

მსოფლიოს მთელ მშვიდობიმოყვარე ძალებთან ერთად მოსკოველთა მანიფესტაციამ ცხადყო, რომ ისინი მზად არიან ამრავლონ ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის მძლავრი მოძრაობის წარმატებანი. პირველი მაისის ღღეს საბჭოთა ადამიანებმა ცხადყვეს ერთობა და შეკავშირება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი მებრძოლი შტაბის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, თავიანთი მტკიცე გადაწყვეტილება იბრძოლონ ახალი გამარჯვებებისათვის კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

* * *

ოცა რადიოსა და ტელევიზიის ტალღებმა მთელი ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში მიიტანეს მოსკოვის წითელ მოედანზე გამართული საპირველმაისო ზეიმის ხმა, სხვა ქალაქების მცხოვრებნიც გამოვიდნენ გაზაფხულის დღესასწაულის შესახვედრად.

ლენინგრადში დღესასწაული დაიწყო სამხედრო-საზღვაო პარადით ნევაზე, სადაც ჩამწკრივდნენ ბალტიკის საბრძოლო ხომალდები, ხოლო შემდეგ სასახლის მოედანზე გაიმართა გარნიზონის ნაწილების პარადი. აღმოფრთოვანებელი იყო ლენინგრადელთა საპირველმაისო დემონსტრაცია, რომელმაც ცხადყო ლენინგრადელ მშრომელთა გრანიტული მონოლითურობა, მათი შეკავშირება მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო.

კიევში სამხედრო პარადის შემდეგ გაიმართა უკრაინის ორგზის ორდენოსანი დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია. საღღესასწაულო კოლონები ერთმანეთს ცვლიდნენ. თვითეულ კოლონას თავისი გაფორმება ჰქონდა, მაგრამ იყო საერთო თემა: ქმნია. რესპუბლიკაში არ არის არც ერთი საწარმო, რომელსაც თავისი წვლილი არ შეეტანოს დიდი ქმნის ფონდში. პირველი მაისი, როგორც ბატონ-პატრონი შრომის ღღესასწაულზე ღღებს მხუნელ-მთესველთა პატაკსაც.

ტაშკენტმა — შუა აზიის ეკონომიური რაიონის უდიდესმა სამრეწველო ცენტრმა პირველი მაისის ღღეს სამშობლოს უპატაკა, რომ მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. რესპუბლიკასთან ერთად ტაშკენტელებმა განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მიმდინარე წელს სამშობლოს მისცეს საში მილიონ ექვსასი ათასი ტონა „თეთრი ოქრო“.

„1 მაისი“ და „150 წელი“. ეს სიტყვები ერთად იყო ბაქოს სადღესასწაულო მორთულობაში. ერთიან საყოველთაოსახალხო ზეიმად გადაიქცა გაზაფხულისა და შრომის ღღესასწაული და რუსეთის შემადგენლობაში აზერბაიჯანის შესვლის სახელოვანი 150 წლისთავი.

ზუსტად სამოცი წლის წინათ გაიმართა პირველი ორგანიზებული საპირველმაისო დემონსტრაცია რიგის ქუჩებში. და იმათ შორის, ვინც მიმდინარე წელს კომკავშირული სანაპიროს ტრიბუნიდან მიესალმა დემონსტრანტებს, ვინც მიუძღოდა ქარხნების კოლონებს, იყვნენ იმ პირველი მაისობის მონაწილენიც. რიგელებს აქვთ საამაყო — რესპუბლიკის მრეწველობამ ძირითადი მაჩვენებლებით 1965 წლის მიჯნას მიაღწია.

გაზაფხულის ყვავილებით მორთული მიდიოდნენ ყაზახეთის დედაქალაქ ალმა-ატის მშრომელთა გვარდიის წარმომადგენლების კოლონები, კოლონებში იყვნენ ყაზახები, რუსები, უიღურები, უკრაინელები — მრავალეროვნული ყაზახეთის წარმომადგენლები. მათ უპატაკეს სამშობლოს შრომითი წარმატებანი საპირველმაისო შეჯიბრებაში. ალმა-ატის ეკონომიური რაიონის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ოთხი თვის გეგმა.

მეთერთმეტე საპირველმაისო ღღესასწაულს შეხვდნენ ყამირის დამპყრობლები. ზრუნვა მოსაკლისათვის, იმისათვის, რომ მოიყვანონ მილიარდი ფუთი პური — აი მთავარი, რითაც ღღეს ცხოვრობენ ყამირელები. ხოლო ბაიკალსკის — ციმბირელ ხე-ტყის ქიმიკოსთა ახალგაზრდა ქალაქის მცხოვრებლები პირველად მიიღეს საპირველმაისო დემონსტრაციაზე. ისინი შესანიშნავ გუნებაზე არიან! გიგანტმა გააღვიძა ბაიკალის ტაიგის ნაპირები. მოკლე ეგდაში აქ აშენდა და, რომელშიც 12 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობს.

მშრომელთა საზეიმო მსვლელობანი, სახალხო სეირნობანი გაიმართა პირველი მაისის ღღეს ტალინში, მინსკსა და კიშინიოვში, დუშანბესა და ერევანში, ამხაბადსა და ვილნიუსში, ფრუნზეში, ვლადივოსტოკში — მთელ ჩვენს თავლუწედინ ქვეყანაში.

ხოლო პირველ მაისს საღამოს მოსკოვის, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქების, მგზარი ქალაქების ცა ციმციმღნდა სადღესასწაულო სალუტით.

გ. დავიდოვი, ა. ლისინი,
გ. მაკაროვი, ა. სურინი
(საკდესის სპეც. კორ.).

* * *

1 მაისის ღღესასწაული მოსკოვში. **სურათებზე:** (ზევით) მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია წითელ მოედანზე: (ქვევით) შორსმოქმედი უპილოტო დამჭერების ქვეგანაყოფი. ჯარის ნაწილებში ამ რაკეტების ათვისებისა და სასწავლო სროლის გამოცდამ უჩვენა მათი განსაკუთრებული საომედოობა და საჰაერო კოსმოსური თავდასხმის ყოველგვარ თანამედროვე საშუალებათა მოსპობის მაღალი საბრძოლო შესაძლებლობანი.

ფოტო ვ. კუნოვისა და ვ. სობოლევისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).



უკრაინის მიწაზე

2 მაისს მოსკოვიდან სიმფეროპოლში ჩამოვიდნენ პარტიის ალეირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის გენერალური მდივანი, ალეირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ამმედ ბენ ბელა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, ალეირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო და პარტიული მოღვაწენი, რომლებიც თან ახლავან პრეზიდენტს. აეროპორტში მათ შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. ე. შელესტი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. ს. კოროტჩენკო, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. პ. კაზანეცი და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები. სიმფეროპოლიდან ამმედ ბენ ბელა, ნ. ს. ხრუშჩოვი და მათი თანმხლები პირები ავტომობილებით ყირიმის სამხრეთ სანაპიროსაკენ გაემართნენ.

სიმფეროპოლის ქუჩებში და საკურორტო ტრასის გასწვრივ ათასობით მშრომელი უდიდესი აღფრთოვანებით მიესალმებოდა ნ. ს. ხრუშჩოვსა და ამმედ ბენ ბელას.

აღმაფრთოვანებელი შეხვედრა იყო იალტაში. აქ საპატიო ბატონრებს ხვდებოდნენ დამსვენებლები. შემდეგ სტუმრები მათთვის გამოყოფილ რეზიდენციაში დაბინავდნენ.

3 მაისს ნ. ს. ხრუშჩოვმა ამმედ ბენ ბელა და მისი თანმხლები ალეირის ხელმძღვანელი მოღვაწეები მიიწვია საბჭოთა მეურნეობა „გორნიში“, რომელიც იალტის მახლობლად მდებარეობს. საბჭოთა მეურნეობაში მათთან ერთად ჩავიდნენ პ. ე. შელესტი, ბ. ნ. პონომარიოვი და სხვები.

ყველგან, სადაც გაივლიდა ღია მანქანა, რომელშიც ამხანაგები ხრუშჩოვი და ბენ ბელა ისხდნენ, გაისმოდა მისალმების შეძახილები, ტაში.

საბჭოთა მეურნეობა „გორნიმ“ ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ბოსტნეულის მოყვანა ღია გრუნტში ჰიდროპონიკის მეთოდით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე ამის შესახებ ილაპარაკა საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ე. ს. სმირნოვმა.

— ჩვენი მეურნეობის ფართობი 940 ჰექტარს შეადგენს, — უთხრა სტუმრებს საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა. — აქედან 120 ჰექტარი ვენახებს უჭირავს, კიდევ 120 ჰექტარი — მაღალხარისხოვანი თამბაქოს „დიუბეკ-44“-ს პლანტაციებს. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს სათბურები, სადაც მოგვყავს პამიდორი, კიტრი და სხვა ბოსტნეული. მაგრამ მთავარი ის არის, რომ აქ ციცაბო ქვიან ნაკვეთებზე ჰიდროპონიკის წესით, ესე იგი საკვები ხსნარის გამოყენებით მოგვყავს ბოსტნეული. საბჭოთა მეურნეობა „გორნი“ ამ წესის დანერგვის ერთ-ერთი ინიციატორია.

ჰიდროპონიკის წესით გამოყენენილი კომბოსტოს, წიწაკის, სტაფილოს, პამიდორის ჩითილები უკვე ხარობს. წლის ბოლოსათვის ასეთი წესით ბოსტნეულს ამ მეურნეობაში 30 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე მოიყვანენ, მომავალში — 80 ათას კვადრატულ მეტრზე, ხოლო 1966 წელს — 20 ჰექტარზე.

ერთ-ერთ სათბურთან სტუმრებს შეხვდნენ საბჭოთა მეურნეობის მუშა ქალები. ისინი ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვს, ბენ ბელასა და მათს თანამგზავრებს გაუმასპინძლდნენ ქვიან ადგილზე მოყვანილი ქორფა კიტრითა და ბოლოთით.

— შესანიშნავი ბოსტნეულია, — აღნიშნა ბენ ბელამ.

— დიახ, ძალიან გემრიელია, — ღიმილით ამბობს ნიკიტა სერგეის-ძე, — და ჩვენ ასეთ ბოსტნეულს დიდი რაოდენობით მოვიყვანთ.

საბჭოთა და ალეირელი ამხანაგები მივიდნენ თხრილთან, რომელშიც უკვე თვენახევარია კომბოსტო იზრდება. საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა თქვა, რომ მცენარეები შესანიშნავად გრძნობენ თავს და ჯანმრთელობის კერები ახალ კომბოსტოს ჩვეულებრივზე ბევრად ადრე მიიღებენ.

ამმედ ბენ ბელა ათვალიერებს მთის ფერდობებს, სადაც საფეხურებად არის განლაგებული თხრილები, რომლებშიც ბოსტნეულის ჩითილი ხარობს.

— წინათ აქ მიგდებული მიწები იყო, — თქვა ე. ს. სმირნოვმა. — ქვები და შამბები. ადამიანებმა თავიანთი შრომით გამოგლიჯეს ისინი ბუნებას.

საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებმა ალეირელ მეგობრებს უამბეს, რომ ამ მთის ტერასებზე გამოყენენილია მცენარის კვების ახალი ცენტრალიზებული წესი. 25 ტონა მოცულობის ავზიდან ხსნარი ყველაზე ზედა თხრილში მიდის, ამ თხრილის მცენარეთა გამოკვების შემდეგ იგი კასკადებით ეშვება ყველაზე ქვედა თხრილებში. აქ საკვები ხსნარი გროვდება და კვლავ ავზში გადაიტუმბება. მისი შეცვლა თვეში მხოლოდ ერთხელ არის საჭირო. ხოლო 10 დღეში ერთხელ უმატებენ დაბარჯულ კომპონენტებს. სხვადასხვა მცენარისათვის შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა კვების არე.

ამმედ ბენ ბელა და სხვა ალეირელი სტუმრები უურადღებით აკვირდებიან ჰიდროპონიკის სისტემას. მათ აჩვენეს, თუ როგორ რგავენ ჩითილებს, როგორ აწყობენ გრუნტს, ისე რომ საკვებ ხსნარს ნიადაგში გახსნის საშუალება არ ჰქონდეს.

— ძვირი ჯდება საკვები ხსნარი? — იკითხა ბენ ბელამ.

— ძალიან იაფი, ფის შედგენილობაში შედის მიხეულური სასუქები და მიკროელემენტები, — თქვა ე. ს. სმირნოვმა და ჩამოთვალა ეს კომპონენტები. ახლა ჩვენ ვამუშავებთ მცენარის კვების სრული ავტომატიზაციის სისტემას. ეს კიდევ უფრო გააიაფებს პროდუქციას, მნიშვნელოვნად შეამცირებს მებოსტნეთა შრომას.

— თქვენში, ალეირში, ალბათ აგრეთვე არის ასეთი რაიონები? — კითხა ბენ ბელას ნიკიტა სერგეის-ძემ.

ალეირის პრეზიდენტმა დაუდასტურა ეს.

— შეგვიძლია შევთანხმდეთ, — განაგრძო ნიკიტა სერგეის-ძემ, — რომ აქ ჩამოვიდნენ ალეირელები და ნახონ, თუ როგორ შრომობენ საბჭოთა მეურნეობის მუშები, იმუშაონ მათთან ერთად, ეწვიონ საბჭოთა კავშირის სხვა მეურნეობებს, სადაც ჰიდროპონიკის წესს იყენებენ, შემდეგ კი შინ დაბრუნდებიან, რათა ალეირში ათვისონონ ეს წესი. თუ მოისურვებთ, შეგვიძლია მათთან ერთად გამოვგზავნოთ ჩვენი სპეციალისტები, პრაქტიკოსები, ინჟინრები და აგრონომიკოსები, რომლებიც ალეირელებს საჭირო დახმარებას გაუწევენ.

— ძალიან კარგი წინადადებაა, — თქვა ბენ ბელამ. — ჩვენ აუცილებლად ვისარგებლებთ ამ შესაძლებლობით.

განსაკუთრებით გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა მეურნეობაში ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვსა და ამმედ ბენ ბელას, ვნირი ალეირელი ხალხის წარმომადგენლებს, საბჭოთა ხელმძღვანელებს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა და ბენ ბელამ ხელი ჩამოართვეს საბჭოთა მეურნეობის ვეტერანებს, მეგობრულად მიესალმნენ რევოლუციის მონაწილეს, ყოფილ ბუდიონელ მხედარს ივანე ანდრიას-ძე ტარასენს, სოციალისტური შრომის გმირს პელაგია ივანეს ასულ ოფენოვას, მეთამბაქოე ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს ზახაროვას და პენსიონერ მართა მიხეილის ასულ ზვიაგინას. მათ ბენ ბელას სთხოვეს ძმური სალამი გადასცეს ალეირელ ხალხს. გაიმართა ხანმოკლე, გულწრფელი, აღფრთოვანებული საუბრები.

ყველგან გაისმის მისალმების შეძახილები ალეირ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სადიდებლად, გაისმის ტაში.

საბჭოთა მეურნეობიდან საპატიო სტუმრები სანატორიუმ „ლივადიაში“ გაემართნენ. ზზად მათ დაათვალიერეს ქალაქი იალტა, რომელიც შემოსილია აყვავებული ბალდრების, პარკების გალეფილები გაზაფხულის ბუნების სიმწვანით. მხურვალე ტაშით შეეგებნენ ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვსა და ამმედ ბენ ბელას მშრომელები, რომლებიც საბჭოთა კავშირის ბევრი კუთხიდან არიან აქ ჩამოსულნი დასასვენებლად და სამკურნალოდ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ალეირელ მეგობრებს უთხრა, რომ სანატორიუმი „ლივადია“ ყოფილი მეფის სასახლეა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის წინადადებით ამ სასახლეში გლეხთა სანატორიუმი მოეწყო. 1945 წლის თებერვალში აქ მიმდინარეობდა მეორე მსოფლიო ომში სამი მოკავშირე სახელმწიფოს მოთავრობათა მეთაურების ყირიმის კონფერენცია. ათი წლის წინათ მთავრობის გადაწყვეტილებით აქ საბჭოთა მშრომელების სანატორიუმი მოეწყო, როგორც ეს ვ. ი. ლენინმა გეგანდერძა.

სანატორიუმის დირექტორმა ა. ს. სერგიეევსკიმ თქვა, რომ აქ 750 კაცი მკურნალობს და ისვენებს. ძირითადად ესენი არიან კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, აგრეთვე ინჟინრები, ექიმები, მასწავლებლები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები.

სტუმრებმა დაათვალიერეს ჯანმრთელობის კერა, ესაუბრნენ დამსვენებლებს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა და ამმედ ბენ ბელამ სანატორიუმში მყოფთ უსურვეს კარგად დასვენება, რათა შემდეგ ახალი ძალით მოკიდონ ხელი მუშაობას.

—ასე ცხოვრობენ და ისვენებენ „კომუნიზმის მონები“, — თქვა ბენ ბელამ, რომელსაც გაახსენდა, თუ როგორ ცილისწამებას ავრცელებენ დასავლეთში საბჭოთა ადამიანების შესახებ. მან ილაპარაკა იმ საკადრის პასუხზე, რომელიც ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვმა გასცა ასეთი მონაბორების გამვრცელებელთ ნიქსონთან საუბრის დროს, როცა ამერიკის გამოფენას ათვალიერებდნენ მოსკოვში.

საპატიო სტუმრები, რომლებიც გულთბილად გაიცილეს დამსვენებლებმა, მათთვის განკუთვნილ რეზიდენციაში წავიდნენ. (საკდესი).

ზალზთა მეშვიდობის, თავისუფლების, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის

საბჭოთა მთავრობამ აზიისა და აფრიკის ქვეყნების მთავრობებს გაუგზავნა განცხადება, რომელშიც ძხარს უჭერს აფრიკა-აზიის ქვეყნების II კონფერენციის მოწვევას, თუ ამ კონფერენციის ძიზანი იქნება შეკავშირება მთელი ძალებისა, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, კოლონიური მოხობის წინააღმდეგ, და თუ კონფერენცია არ ისახავს სხვა მიზნებს — ამ ძალების გათიშვას. საბჭოთა კავშირი, აზიის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო, ნათქვამია განცხადებაში, მზად არის ყოველი ღონე იხმაროს ამ კონფერენციის წარმატებისათვის.

საბჭოთა მთავრობის განცხადებაში აღნიშნულია, რომ აზიისა და აფრიკის ქვეყნების მეორე კონფერენციის მოწვევის მოსამზადებელმა თათბირმა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გაიმართა ჯაკარტაში, განიხილა ამ კონფერენციაზე საბჭოთა კავშირის მიწვევის საკითხი. საბჭოთა მთავრობას არ გამოუჩენია ინიციატივა, რომ დაესვათ ეს საკითხი, მაგრამ იგი მაღლობელია მოსამზადებელი თათბირის მონაწილე მთავრობებისა, რომლებმაც ეს საკითხი გამოიტანეს განსახილველად და მზარი დაუჭირეს იმას, რომ საბჭოთა კავშირი იყოს აზიისა და აფრიკის იმ ქვეყნებთან ერთად, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ. მაგრამ მთელი რიგი ქვეყნების მისწრაფება, რომ საბჭოთა კავშირმა მონაწილეობა მიიღოს აზიისა და აფრიკის ქვეყნების მეორე კონფერენციაში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ უხეშ და თავხედურ ობსტრუქციას წააწყდა.

ჩინეთის დელეგაციის მეთაური — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ჩენ ი არსებითად მხოლოდ ერთ მოსაზრებას ეყრდნობოდა: „საბჭოთა კავშირი არ არის არც აფრიკის, არც აზიის ქვეყანაო“.

ყოველმა განათლებულმა ადამიანმა იცის, რომ საბჭოთა კავშირი არა მარტო ევროპის უდიდესი ქვეყანაა, არამედ აზიის უდიდესი სახელმწიფოც არის. საბჭოთა კავშირის წილად მოდის აზიის ტერიტორიის დაახლოებით 40 პროცენტი. სსრ კავშირის აზიური ნაწილი თითქმის ერთიორად აღემატება მთელი ჩინეთის ტერიტორიას.

საბჭოთა მთავრობის განცხადებაში ხაზგასმულია, რომ რამდენსაც უნდა ეცადოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ძალით გადაეკეთოს გეოგრაფია იმისათვის, რომ განხეთქილება ჩამოაგდოს საბჭოთა კავშირსა და აფრიკა-აზიის სხვა ქვეყნებს შორის, იგი ვერაფერს ვერ დააკლებს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ნათელ ფაქტს. ამიტომ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, ახორციელებს რა ამ სახელმწიფოთა და ხალხთა გათიშვის იმავე ხაზს, რომლებიც მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის საქმეს იცავენ, სულ უფრო ხშირად აყენებს წინა პლანზე რასობრივ ნიშანს, რომელმაც ვითომდა უნდა განსაზღვროს პოლიტიკური ინტერესების ერთობა და საერთაშორისო ასპარეზზე ერთობლივი მოქმედების შესაძლებლობა.

მაგრამ რასობრივი სოლიდარობის ლოზუნგებით სპეკულაცია, ხათქვამია შემდეგ საბჭოთა მთავრობის განცხადებაში, იგივეა, რომ სკკპ რაღაც „ჩინური კედელი“ აღმართონ თეთრკანიან, შავკანიან და ყვითელკანიან ხალხებს შორის, სოციალისტურ ქვეყნებსა და აზია-აფრიკის ქვეყნებს შორის, რომლებიც დაირაზმნენ ეროვნული აღორძინებისათვის.

საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ყურადღება მიაქციოს ჯაკარტაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ოფიციალური წარმომადგენლის უპასუხისგებლო განცხადებებს. სსრ კავშირის ხალხთა ბედი მეტად მჭიდროდ არის დაკავშირებული ამის სხვა ხალხების ბედთან, ტბლდ დიდი შრომაა გაწეული და ბევრი სისხლი დაღვრილა ერთობლივ ბრძოლაში უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ.

საბჭოთა მთავრობა, ნათქვამია დასასრულ განცხადებაში, არ შეანელებს თავის მეცადინეობას მშვიდობისათვის, კოლონიური ჩაგვრისა და ყველა ფორმის უეცხოური დამოკიდებულებისაგან ხალხთა სრული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში და კიდევ უფრო მტკიცედ იბრძოლებს სოციალისტური ქვეყნებისა და იმ ახალგაზრდა სახელმწიფოების მეგობრობის, თანამშრომლობის, ურთიერთმხარდაჭერის განმტკიცებისათვის, რომლებიც უცხოეთის ბატონობის ბორკილს ამსხვრევენ, მათი შეკავშირებისა და ერთობისათვის. (საკდესი).

„ჩვენი საყვირი“ 35 წლისაა

თბილისი ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის, რესპუბლიკის დედაქალაქის ამ მდიდარი ტრადიციების მქონე უძველესი საწარმოს მრავალტრაფალ გაზეთ „ჩვენს საყვირს“ 5 მაისს 35 წელი უსრულდება.

ჩვენი ქარხნის კოლექტივი კომუნისტური შრომის ფერხულშია ჩაბმული. იგი ეხერგიულად იღრძვის სკკპ XXII ყრილობის და პარტიის ივნისის, დეკემბრის და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ქარხნის კოლექტივი ფართოდ გამოეხმაურა კომუნისტური შრომისადმი ბრძოლის საქმეს. რესპუბლიკაში პირველმა, სწორედ ჩვენი ქარხნის მოტორვაგონსაქმის შემკეთებელმა საამქრომ მიიღო კომუნისტური შრომის წოდება. ამჟამად ქარხანაში 49 ბრიგადა ატარებს ამ საპატიო სახელს. მთელი ქარხნის კოლექტივი იბრძვის „კომუნისტური სწორმოს საპატიო სახელისათვის. გაზეთის ფურცლებზე ხშირად შეხვდებით ქარხნის მოწინავე ადამიანების — სოციალისტური შრომის გმირის, სახელოვანი მჭედლის კ. ილურიძის, ხოვატორი ხარატის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ალ. ზარდიაშვილის, მოწინავე მეშტბის ა. მარგველაშვილის, ვ. პილიპჩუკის, ს. ტიგრანიანის, ლ. მარგიშვილის და სხვათა გვერდს, მათი შრომითი გმირობის ამსახველ მასალებს.

გაზეთი ხშირად აქვეყნებს მასალებს რუბრიკით: „ისინი დროს უსწრებენ“. ამ წარილებით ნათელი ხდება, რომ ბევრი მეშუბის დაზგაზე უკვე 1966-67 წლები გათენდა. მოწინავე მუშები აცნობენ მკითხველებს როგორ აღწევენ წარმატებებს.

გაზეთის ირგვლივ 180-ზე მეტი აქტივისტია შემოკრებილი. საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია სარედაქციო კოლეგია, პარტიული, ფიფიურ - პროპაგანდისტული, საწარმოო განყოფილებები.

გაზეთის მუშაობაში არის ნაკლოვანებებიც. კრიტიკული წერილები დროშენიშვნები ვერ აღწევენ მიზანს. ზოგი მუშაკი აჭიანურებს პასუხის გაცემას. ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში გაზეთს დახმარება უნდა გაუწიოს პარტიულმა კომიტეტმა. ჩვენი ამოცანაა დაკრაზმით ქარხნის კოლექტივი შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

ი. ბოლქვაძე,
გაზეთ „ჩვენი საყვირის“ რედაქტორი.

სიტყვაში გული ჩააქსოვე!

5 მაისი საბჭოთა პრესის დღეა

სიტყვა ადამიანის სულის სალარო-საუნჯეა, სიტყვებით ფეთქავს გული, უგულო სიტყვა ფუჭია, უსარგებლო.

ასე ამბობს ხალხი და ყოველდღიურად ვლიდება ცხოვრებაში ეს ბრძნული შეშმარიტება.

ერთხელ კოლმეურნის ოჯახში მოვხვდი. მასპინძელი საოცრად ენაწყლიანი, გულღია მოსაუბრე აღმოჩნდა. ვუსმენდი მას და ვგრძნობდე, რომ ჩემ წინაშე იდგა ცხოვრებაში გამობრძმედილი, ნათელი აზრისა და ბუნების ადამიანი, რომელიც დედაენასავით ბადაგიშლილ თავის გულს. სიტყვამდლიან კოლმეურნეს დაეცილდი როგორც ძვირფას, ახლობელ ადამიანს.

ტაბლომოსაუბრენი ცხოვრებაში სხვებიც შემხვედრია, მაგრამ იმ კოლმეურნის საუბარი განსაკუთრებით დამამახსოვრდა. უთუოდ იმიტომ, რომ მის სიტყვებში ფეთქავდა მართალი გული.

მართლაც, უგულოდ გამოთქმულ სიტყვას რა ფასი აქვს. სიტყვაში ჩანს ადამიანის სულიერი სამყარო, ენებათა ფილვა, სიხარული და გულისტკივილი.

ყველგან, ავტომობილის კონვეიერთან, ახალ მმენებლობაზე თუ ფაბრიკ-კოლმეურნეო მინდვრებზე შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც ცხოვრებას ნათელი თვალებით უცქერიან. მათს სასახელო საქმეებს მკითხველს განაცდევინებს, თუ სიტყვაში ჩააქსოვ გულს, თუ შენს სიტყვას ექნება ცხოვრების მადლი და მარილი.

სიტყვა აღმზრდელიც არის და მსაჯულიც. შენი სიტყვა, როგორც შენი გულის ბარომეტრი, ჯარისკაცივით უნდა იდგეს თავის „პოსტზე“, იგი ხან მშვიდი იქნება, ალერსიანი, მაისის სურნელების მომგვრელი, ხან კიდევ მეუხარე, ბასრი, ულმობელი. სიტყვა ბაჯაღლო ოქროა მათთვის, ვინც ალალი შრომით ნათელ მომავალს აშენებს, ხოლო საწამლავია — ვინც ცხოვრებას ამღვრევს, ჩრდილს აყენებს თანამედროვეობას.

საბჭოთა პრესის სახელი გვავალებს სიტყვას ისე ვწერდეთ და ვეკამეკამდეთ, რომ მიზანს არ ასცდეს.

ცხოვრება ისეთი გრანდიოზული ნაბიჯებით მიდის წინ, მეცნიერების ისეთ არნახულ მწვერვალებს იპყრობს ადამიანის უშრეტი გონება, რომ ძნელია ამაზე ჩვეულებრივად, აფოლეგებლად წერა. თუ ამ მჩქეფარე ცხოვრებას მახვილი თვალით არ შეხედე, თუ სიტყვაში გული არ ჩააქსოვე, ძნელია რიმე ეფექტი მოახდინო მკითხველის თვალში. უეფექტო, უფერული, უიდეო წერილი კი ჟურნალისტის ფუჭი გარჯაა.

საბჭოთა ჟურნალისტის საპატიო მოვალეობაა ღირსეული ხარკი გადაუხადოს ახალი ადამიანის შრომასა და გარჯას, მზარი დაუჭიროს და პროპაგანდა გაუწიოს ყოველგვარ სიახლეს, მოურიდებლად ამხილოს ნაკლოვანებები და იბრძოლოს მათი აღმოფხვრისათვის.

ნ. ბ. მეფისაშვილი,
გაზეთ „ჭუთაისის“ რედაქტორი.

ავომური ელსადგურის ჩირაღდნები

საკდესის ცნობა

1964 წლის 26 აპრილს სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის ბელოიარსკის ი. ვ. კურჩატოვის სახელობის ატომურმა ელექტროსადგურმა ელექტროენერგია მისცა „სვერდლოვენერგოს“ ენერგოსისტემას.

ბელოიარსკის ატომური ელექტროსადგურის 100 ათასი კილოვატი სიმძლავრის პირველი ბლოკის მშენებლობა და მონტაჟი დამთავრდა და იწყება მისი საცდელ-სამრეწველო ექსპლოატაცია, ამასთან წარმოებს საპროექტო სიმძლავრის თანდათანობით ათვისება.

ამ სადგურში სამრეწველო მასშტაბით მსოფლიოში პირველად განხორციელდა ორთქლის ატომური გადამეტხურება უშუალოდ რეაქტორში, სადამ ორთქლს მიაწოდებენ ტურბინს. ელექტროსადგური აამუშაეს ატომური ელექტროსადგურის ექსპლოატაციის მუშაკებმა სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის ინსტიტუტების მეცნიერულ-ტექნიკური ხელმძღვანელობით.

ბელოიარსკის ატომური ელექტროსადგურის ამუშავება საბჭოთა მეცნიერების, კონსტრუქტორების, ინჟინრების, მუშების ახალი დიდმნიშვნელოვანი წვლილია ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საქმეში, რაც სავსებით შეესაბამება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას, რომ მშვიდობიანი გამოყენებისათვის განკუთვნილი ხელოვნი მასალები მიეცეს ატომურ ელექტროსადგურებს.

ხალხთა მეგობრობა, ხალხისათვის

საბჭოთა კავშირის მეგობრობის ლიტერატურული ალმანახი

ხ ა ბ ჭ ო თ ა კავშირის პრესა ნამდვილად ხალხურია თავისი სულისკვეთებით, თავისი ხასიათით, მიზნებით, რომლებსაც იგი ემსახურება. კეთილშობილურია მისი დანიშნულება — წეროს ხალხზე და ხალხისათვის, ეხმარებოდეს პარტიას კომუნისტური საზოგადოების. აშენებაში, ახალი ადამიანის აღზრდაში. მრავალეროვნული საბჭოთა პრესა პირნათლად ასრულებს თავის მაღალ მისიას.

ეროვნულ ადამიანისათვის ნათელ ფაქტს. ამიტომ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, ახორციელებს რა ამ სახელმწიფოთა და ხალხთა გათიშვის იმავე ხაზს, რომლებიც მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის საქმეს იცავენ, სულ უფრო ხშირად აყენებს წინა პლანზე რასობრივ ნიშანს, რომელმაც ვითომდა უნდა განსაზღვროს პოლიტიკური ინტერესების ერთობა და საერთაშორისო ასპარეზზე ერთობლივი მოქმედების შესაძლებლობა.

ბაბჭოთა კავშირის ლიტერატურული ალმანახ „ხალხთა მეგობრობა“ ეხმიანება ამ ეროვნულ ფაქტს. ალმანახ „ხალხთა მეგობრობა“ ეხმიანება ამ ეროვნულ ფაქტს. ალმანახ „ხალხთა მეგობრობა“ ეხმიანება ამ ეროვნულ ფაქტს. ალმანახ „ხალხთა მეგობრობა“ ეხმიანება ამ ეროვნულ ფაქტს. ალმანახ „ხალხთა მეგობრობა“ ეხმიანება ამ ეროვნულ ფაქტს. ალმანახ „ხალხთა მეგობრობა“ ეხმიანება ამ

1964 წლის 1 მაისის დღესასწაული თბილისში. ტრიბუნაზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ამხანაგები ბ. ი. ჩოგოვაძე, ბ. ა. გეგეშიძე, ვ. ი. კუმაკა, ბ. ნ. ბოჩკარიოვი, ბ. დ. ჯაფარიშვილი, ვ. პ. მეტაფანაძე, ა. ტ. სტუჩენკო, ბ. ს. ძოწენიძე, პ. ა. როდიონოვი, ო. დ. გოცირიძე, დ. ბ. სტურუა, შ. ი. ფანუსვაძე, რ. ი. ფრუიძე, ა. ნ. ინაური, ო. ე. ჩერქეზია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო ვლ. გინზბურგისა და შ. ჩხეტიანისა.

დიადი დღესასწაული

„კომუნისტის“ კორესპონდენტთა რეპორტაჟი საპირველმაისო კოლონებიდან

დილიდან უჩვეულო იყო თბილისი. დროშები... ხალხი სავსე ქუჩები... ვეებერთელა ტრანსპარანტები და... ზღვა სიხარული!

1 მაისია — დღესასწაული, დღე საგანგებო, დღე იშვიათი. ზეიმობს ჩვენი ქვეყანა და ზეიმობს ჩვენი თბილისი ქალაქიც.

მშვენიერი დილა გათენდა.

სახლებზე ყველგან ალისფერი ლოზუნგებია:

„გაუმარჯოს 1 მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს!“

„გაუმარჯოს 1 მაისს, გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!“

ამ უამრავ ლოზუნგებში გამოხატულია ხალხის ნება და სურვილი, მიღწევები და აღტაცება.

დადგა 1964 წლის, შვიდწლედის მე-6 წლის, პირველი მაისი!

ამ დღეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები დიდი ენერგიით შეგვდნენ. ბევრმა საწარმომ გადაჭარბებულით შესრულა პირველი ოთხი თვის დავალება, სოფლად ბზნელ-მთესველებმა გამოიჩინეს თავი.

გასულ წელს 12 მილიონ 300 ათასი ფუთი მარცვლეული მისცეს სამშობლოს უხვი მოსავლის ოსტატებმა, 186 ათასი ტონა ჩაი მოკრიფა ქართველ მეჩაიეთა მარჯვენამ, წელს კიდევ უფრო მეტი უნდა იყოს მოსავალი!

საზეიმოდ გამოსულ თბილისელებს გამარჯვებულთა იერი აქვთ.

ყველგან გაისმის სიცილი და სიმღერა. როგორც ყოველთვის, — ქუჩები სავსეა. ამდენი ბედნიერი ბავშვი არასოდეს არ მინახავს რუსთაველის პროსპექტზე!

დედაქალაქის ასეულ ათასობით მშრომელი გამოვიდა საპირველმაისო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად. რუსთაველის პროსპექტისაკენ მოიჭარის მთელი ქალაქი.

რუსთაველის ქუჩა — თბილისის მშვენება — ჩვეულებრივზე ბევრად ლამაზია დღეს. აქ დანიშნულია თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია.

დამთავრდა ჯარების განლაგება რუსთაველის პროსპექტზე. საპარადო ფორმით გამოწყობილი ერთმანეთის გვერდით ჩამწკრივებულან სხვადასხვა გვარეობის ჯარის ქვეგანაყოფები: ქვეითები, არტილერისტები, ავიატორები, მესაზღვრეები, მეზღვაურები...

10 საათს ხუთი წუთი აკლია.

საქართველოს სსრ მთავრობის სახლიდან, რომლის ფასადს ამშვენებს დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის პორტრეტი, საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეთა პორტრეტები და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დროშები, გამოდიან და ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები: **გ. ნ. ბოჩკარიოვი, ბ. ა. გეგეშიძე, ო. დ. გოცირიძე, მ. ი. კუმაკა, ვ. პ. მეტაფანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. ბ. სტურუა, ბ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ფანუსვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, რ. ი. ფრუიძე, ო. ე. ჩერქეზია, ა. ნ. ინაური.**

ტრიბუნაზე არიან ძველი ბოლშევიკები, წარმოების ნოვატორები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მინისტრები, საბჭოთა არმიის გენერლები, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

10 საათია.

გაისმის ბრძანება „სმენა!“ თითქოს გაეკვეთნენ ჯარისკაცები. ლენინის მოედნიდან გამოჩნდა ღია მანქანა. იგი პროსპექტისაკენ მოემართება. მოდის ამერიკაკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის გენერალი **ა. ტ. სტუჩენკო.**

მას უპატაკებს პარადის სარდალი საბჭოო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი **მ. ვ. ლუგოვცევი** — ჯარების ნაწილები მზად არიან პარადისათვის!

არმიის გენერალი სტუჩენკო ჩამოუვლის ჯარებს და მიესალმება, ულოცავს მათ პირველ მაისს. ქუხს მძლავრი „ვაშა“.

ამერიკაკავკასიის ჯარების სარდალი ტრიბუნისაკენ მიემართება.

თბილისის გარნიზონის ჯარების ნაკრებ ორკესტრს სამწყობრო ნაბიჯით გამოეყო მედფდფეთა მწკრივი.

გაისმის დაფდფების ხმა. ეს ნიშნავს: „ყურადღება... ლაპარაკობს სარდალი!

სარდალი თავის სიტყვაში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის სახელით და დავალებით მისალმება და ულოცავს ჯარისკაცებს, სერჟანტებს, ზემდეგებს, ოფიცრებს, გენერლებს, საქართველოს ყველა მშრომელს პირველი მაისის დღესასწაულს.

არმიის გენერალი სტუჩენკო ლაპარაკობს იმ დიად წარმატებებზე, რომლებიც საბჭოთა ხალხი ზედება მშრომელთა სოლიდარობის დიდ დღესასწაულს. მთელი ჩვენი ქვეყანა, — ამბობს იგი, — კომუნისტური პარტიის ბრძნული წინამძღოლობით, თავდადებული შრომით ახორციელებს პარტიის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების მიერ დასახულ ამოცანებს.

„კომუნისტის“ კორესპონდენტთა რეპორტაჟი საპირველმაისო კოლონებიდან

ამერიკაკავკასიის ჯარების სარდალი განსაკუთრებით აღნიშნავს საქართველოს მშრომელების წარმატებას სახალხო მეურნეობისა და კულტურის ფრონტზე.

პირველი მაისი — ყველა ქვეყნის მშრომელთა საბრძოლო სოლიდარობა ერდეგ უფრო განამტკიცებს მსოფლიოში მშვიდობისა და დემოკრატიის საქმეს, კიდევ უფრო მტკიცდება ხალხთა მეგობრობა. საბჭოთა კავშირის ლენინურმა საგარეო პოლიტიკამ მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობის აღიარება ჰპოვა.

არმიის გენერალი სტუჩენკო აგრეთვე ლაპარაკობს იმაზე, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში ჯერ კიდევ არიან „ცივი ომის“ მომხრენი.

საბჭოთა არმია ყველა კეთილი ნების ადამიანის იმედი და მშვიდობის დიდი გეშაგია. ამიტომ ზრუნავს ჩვენი მთავრობა ჯარის თანამედროვე იარაღით აღჭურვაზე, საბრძოლო ოსტატობის ამაღლებაზე. ამერიკაკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრები ფხიზლად იცავენ და ცქერავენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სამხრეთ საზღვრებს.

სიტყვის დასასრულს არმიის გენერალი სტუჩენკო გამარჯვებას უსურვებს ჩვენ ხალხს, საბჭოთა ქვეყანას, კომუნისტურ პარტიასა და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს.

ამერიკაკავკასიის ჯარების სარდალმა საზეიმო სიტყვა დაამთავრა.

ქუხს ერთსულოვანი „ვაშა“. გაისმის სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ჰიმნები. გრიალებენ ზარბაზნები.

სალუტია! დღესასწაულის ალსანიშნავი სალუტი!

იწყება სამხედრო პარადი. ორკესტრი უკრავს მარშს. მწყობრი კოლონები მხნედ და მტკიცედ მიაბიჯებენ. ამ გამართულ ვეკაცურ სვლაში იგრძნობა დიდი ძალა და შემართება.

მოდის „მტრის რისხვა“ — უძლეველი ჩვენი არმია, მშვიდობის არმია, სიკეთის არმია. გჯერა, რომ ამ ადამიანთა ამ საპარადო სვლაში იგრძნობა რაღაც უსასრულობა, თითქოს არასოდეს არ დამთავრდება ამ მხნე ბიჭების მწყობრი რიგები.

ტრიბუნას ჩაუარა გარნიზონის ოფიცერთა ნაკრებმა კოლონამ. მოდის თბილისის საარტილერიო სასწავლებელი, დიდი ტრადიციების მქონე, მამაც ოფიცერთა სამეფდლო. არა ერთი და ორი საბჭოთა კავშირის გმირი აღზრდილა მის კედლებში.

მეფროშეებს აქეთ-იქეთ უდგანან ხმალ-მომარჯვებული ოფიცრები, მოაქვთ სამხედრო დროშები, ზოგი ნატყვიარია, ზოგი ორდენსანი...

მოდიან ჯავშანტრანსპორტიორები, საწვერებზე შემართული ქვემეხები და ჰაუბიცები.

ორკესტრი უკრავს მარშს. მოაქვთ რაკეტული ტექნიკა. რაღაც გრანდიოზულობა ახლავს ამ იარაღს.

„წვერწათლილი ფანქრის“ ფორმის ეს ვეებერთელა რაკეტები ძალაუნებურად იპყრობენ მზერას და იწვევენ გაოცებას. ეს რაკეტები ჩვენი სამამულო სამხედრო ტექნიკის საოცრებაა!

სამხედრო პარადი თბილისის გარნიზონის ჯარების ნაკრები ორკესტრის ცერემონიალური მარშით მთავრდება.

რამდენიმე წუთით დაცარიელდა პროსპექტი.

და აი დროშები... უამრავი დროშები, გამოჩნდნენ დემონსტრაციის მონაწილეთა კოლონები.

„მშვიდობა“, „მეგობრობა“, „შრომა“, „ბედნიერება“, წერია მათს პლაკატებზე, სიხარული წერია მათს სახეებზე.

პირველი მოდის დედაქალაქის ლენინის რაიონი, თბილისის სამრეწველო მაჯისცემა. მოდის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის დიდი რევოლუციური ტრადიციების მქონე კოლექტივი, მოდიან რკინიგზელები, ელმავალმშენებლები. ახლა თბილისის ელმავლები რუსეთის უდიდეს მაგისტრალებს სეარაენ. „დიდ ხომალდს დიდი ცურაო“, სწორედ ამაზეა ნათქვამი. ქვეყანამ იცის, რომ დღეს საქართველო უფრო მეტ ელმავალს ამზადებს, ვიდრე საფრანგეთი! მოდიან მანქანათმშენებლები, ჩარხმშენებლები. მსოფლიოს რომელ კუთხეში არ ნახავთ მათს ნახელავ ჩარხებს! მოდიან მსუბუქი მრეწველობის მუშაკები, კომუნისტური შრომის ბრიგადების წევრები. მათი რიცხვი ყოველდღე იზრდება, ბევრი უკვე მომავალი წლების ანგარიშში მუშაობს.

ტრანსპარანტებზე და დიაგრამებზე გამოხატულია საწარმოთა კოლექტივების გამარჯვებათა ამსახველი ციფრები.

მოდიან პირველი მაისის, ოქტომბრის, 26 კომისრის, კალინინის, ორჯონიკიძის რაიონების საწარმოთა მშრომელები, მუშა-მოსამსახურეები, კულტურის მუშაკები, ინტელიგენცია, თეატრები და კინოსტუდია, უმაღლესი სასწავლებლები, უნივერსიტეტი, პედაგოგიური ინსტიტუტი, უცხო ენათა ინსტიტუტი, ფიზკულტურის ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — ჩვენი სოფლის მეურნეობის კადრების მძლავრი კერა.

მოსწავლეები და ახალგაზრდობა თვითონ გვანან გაზაფხულს, მოდიან ყვავილებით, სიცილით, სიმღერით...

ტრიბუნას ჩაუარეს მეცნიერებმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლებმა, სამეცნიერო საკლევ დაწესებულებათა მუშაკებმა! — ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერული აზროვნების ბევრმა საუკეთესო წარმომადგენელმა!

...სამ საათს გაგრძელდა თბილისის მშრომელთა დემონსტრაცია. უხაროდა ხალხს დღესასწაული, ზეიმი, ცისკენ მისწრაფოდნენ წითელი ბურთები და თეთრი მტრედები...

დემონსტრაცია დამთავრდა, მაგრამ დღესასწაული არ დამთავრებულა, მთელ დღეს ზეიმობდა მაისობას ბედნიერი საქართველოს დედაქალაქი.

ქუთაისის მშრომელები კანონიერი სიამაყისა და სიხარულის გრძნობით შეხვდნენ პირველ მაისს. მათ სასახლოდ გაანაღდეს ნაკისრი ვალდებულებები და ოთხ თვეში გეგმის ზევით მისცეს სამშობლოს ასეულ ათასობით მანეთის პროდუქცია.

დილის 10 საათზე დაიწყო მშრომელთა დემონსტრაცია. სადღესასწაულო მსვლელობა დაიწყო ფიზკულტურელთა ნაკრებმა კოლონამ. მათ მწყობრი ნაბიჯებით მოჰყვებიან მოსწავლეები, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სტუდენტები.

დამკვიდრებული ტრადიციით მშრომელთა კოლონებს წინ მიუძღვიან სახელოვანი ავტომშენებლები, რომლებმაც გეგმის ზევით მისცეს სამშობლოს ქართული ავტომობილები და სათადარიგო ნაწილები. მათ მოედანზე შემოჰყავთ საკუთარი მარჯვენით შექმნილი ახალი კონსტრუქციის ავტომობილები — 11,5 ტონის ტვირთამწეობის ავტომატარებელი „კაზ-608“ და უნაგირა გამწე მანქანა „კაზ-606-ა“.

მოედანზე თავიანთი პროდუქციის ნიმუშებით — ჩაის პლანტაციებში სასუქების შესატანი მანქანით, ბუჩქის გვერდითი და შპალერული სასხლავი მანქანით, მოდერნიზებული ტრაქტორებით, ნავთობის, გაზისა და ქვანახშირის მრეწველობისათვის საჭირო ელექტრომანქანებით შემოდიან სატრაქტორო და ელექტრომექანიკური ქარხნების კოლექტივები.

ოთხი თვის დავალების ვადამდე შესრულებას უპატაკებენ აგრეთვე აბრეშუმის კომბინატის, ლენინის სახელობის მატუდის ფაბრიკის, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის, საკონსერვო, მინის ტარის, ქიმიური ქარხნების კოლექტივები.

„საპირველმაისო შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი შესრულებულია 108 პროცენტით“ — სიამაყით გვაცნობენ ქუთაისელი მელითოფონელები.

ტრიბუნებს ჩაუარეს მშენებლებმა, რკინიგზელებმა, მეავეჯეებმა, მეავტოლებმა, მკერავებმა, ქალაქის ათობით სხვა საწარმოს კოლექტივებმა.

1 და 2 მაისს გაიმართა მშრომელთა მასობრივი სეირნობა. მრავალი ხალხი იყო ამ დღეებში თეატრებში, კლუბებში, კინოთეატრებში, სტადიონებზე.

სოხუმი. მზითა და სითბოთი სავსე ქალაქი სოხუმი განსაკუთრებით მოზბიბლავად გამოიყურებოდა საყოველთაო დღესასწაულის დღეს. აფხაზეთის მშრომელები მაღალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ დიად ზეიმს. სამრეწველო საწარმოებმა გადაჭარბებით გაანაღდეს საერთო პროდუქციის გამოშვების ოთხი თვის გეგმა, დავალების ზევით გამოშვებულია ასეულ ათასობით მანეთის პროდუქცია.

დილის 11 საათზე დაიწყო სოხუმის მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაცია.

ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე ტრიბუნისაკენ მწყობრად მიემართებიან ქალაქის სკოლების პიონერები და მოსწავლეები, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები.

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს წინ მიუძღოდნენ სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის, ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის, საკონდიტრო ფაბრიკის, ელექტროსასწაფოთა, საკონსერვო, ქიმიური, სასმელ-მექანიკური ქარხნების, ხორცკომბინატის, საქსოვი ფაბრიკის და სხვა საწარმოთა კოლექტივების ლამაზად გაფორმებული კოლონები, რომლებსაც თან მოჰქონდათ მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის ნიმუშები.

აფხაზეთის მშრომელთა დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს კუროორტებზე ჩამოსულმა მრავალრიცხოვანმა დამსვენებლებმა და ტურისტებმა.

ქალაქის ბაღებსა და პარკებში, სოხუმის მთაზე მოეწყო მშრომელთა სადღესასწაულო მასობრივი სეირნობა, სასპორტო მოედნებზე — სხვადასხვა სპორტული შეჯიბრება.

ბათუმი. ლამაზი და თვალწარმტაცი საზეიმოდ მორთული ბათუმი. ყველგან ფრიალებდნენ ალისფერი დროშები, ნავსადგურში მორანდნენ ფერადი ალმებით მორთული გემები...

საპირველმაისოდ განსაკუთრებული სიყვარულითა და სიფაქიზით მოეკაზმავთ ბათუმელებს ქალაქის მშრომელთა დემონსტრაციებისა და საყოველთაო-სახალხო მიტინგების ტრადიციული ადგილი — რევოლუციის მოედანი.

მშრომელთა საპირველმაისო ზეიმი დილიდანვე დაიწყო. დემონსტრაციას ხსნის ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა მრავალათასიანი კოლონა. მოედანზე სიხარული და უსაზღვრო მხიარულება შემოიტანეს წითელყელსახვეგიანმა გოგონებმა და ვაჟებმა. მათ თან მოაქვთ წიგნების მაკეტები, ცოცხალი ყვავილების თაიგულები. ტრიბუნის წინ ასრულებენ ცეკვებს, სპორტულ ვარჯიშს.

მწყობრად მოემართებიან შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, მეზღვაურთა კადრების სამკედლოს — საზღვაოსნო სასწავლებლის კურსანტები, აგრეთვე ბათუმის სხვა სასწავლებლების მოსწავლეები.

მოედანზე გამოჩნდენ სახელოვანი ბათუმელი მანქანათმშენებლები, გემთმშენებლები და მენავთობეები, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს სადღესასწაულოდ ნაკისრი ვალდებულებანი და ათეულ ათასობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცეს სამშობლოს.

დემონსტრანტთა რიგებში არიან შრომაში გამარჯვებული ბათუმელი ელექტროკარელები, რომლებმაც ვადამდე გაანაღდეს ოთხი თვის გეგმა და გეგმის ზევით გამოუშვეს 15 ელექტროკარი.

ელექტროტექნიკურ და ელექტროხელსაწყოების საწარმოთა კოლექტივებს აგრეთვე მკერავებს, მომთუთიებლებს, მეტყავეებსა და მეკონსერვეებს შრომით პატაკებთან ერთად მოაქვთ თავიანთი პროდუქციის ნიმუშები.

დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს კულტურის, ხელოვნების, მედიცინის, განათლებისა და სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკებმა, ბათუმში ჩამოსულმა სტუმრებმა.

პირველ და ორ მაისს ქალაქის პარკებსა და ბაღებში, მახინჯაურსა და მწვანე კონცხზე მოეწყო მშრომელთა მასობრივი სეირნობა, ფიზკულტურულ-სპორტული შეჯიბრებები.

ცხინვალი. წელს განსაკუთრებულ საზეიმო ვითარებაში აღინიშნა საპირველმაისო დღესასწაული სამხრეთ ოსეთში. სოფლის მშრომელების საზეიმო განწყობილებას აძლიერებდა ის წარმატებანი, რაც მათ მოიპოვეს საგაზაფხულო სამუშაოების პერიოდში. თესვა სამხრეთ ოსეთში ამჟამად დასასრულს უახლოვდება. მალე დაიწყება ნათესების დამუშავების პერიოდი.

ჯერ კიდევ დღესასწაულის წინადღეს ლამაზად მოირთო საოლქო ცენტრი — ცხინვალი. ქუჩები დაამშვენა ალისფერმა დროშებმა, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებისა და პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტებმა, ილუმინაციებმა.

პირველ მაისს დღის 11 საათზე დაიწყო საპირველმაისო დემონსტრაცია. როგორც წესი, ტრიბუნასთან პირველი მიაბიჯებენ მოსწავლეები და პიონერები, ფიზკულტურელები, სპეციალური საშუალო სასწავლებლების და ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები. მძლავრად გაისმის „ვაშა“.

მოდიან ცხინვალის სატყეო კომბინატის, ქარხანა „ემალსადენის“, ვიბრომანქანებისა და მექანიკური ქარხნების კოლექტივები. ისინი უპატაკებენ სამშობლოს, ჩვენს პარტიას თავიანთი შრომითი წარმატებების შესახებ.

მოდიან ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მუშები საწარმო-დაწესებულებათა მოსამსახურეები. მძლავრად გაისმის „ვაშა“. დიდხანს გრძელდებოდა ცხინვალის მშრომელთა დემონსტრაცია.

რუსთავი. 11 საათზე დაიწყო მეტალურგიისა და ქიმიის ქალაქის მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაცია. მოსწავლე ახალგაზრდების შემდეგ ტრადიციის მიხედვით მოვდანზე შემოდიან სახელოვანი მეტალურგები, მათს მრავალრიცხოვან კოლონებს წინ მიუძღვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ცნობილი მეტალურგი ამირან ფანიელია. მას ამაყად უჭირავს წითელი დროშა, რომელიც ქართველმა მეტალურგებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში ბრწყინვალე გამარჯვებისათვის დასაკუთრეს. დემონსტრანტებს მოაქვთ პლაკატები, ტრანსპარანტები, ლოზუნგები, რომლებიც მოგვითხრობენ ქარხნის კოლექტივის მიერ მოპოვებულ წარმატებებზე — ქარხანამ ვადამდე შეასრულა ოთხი თვის საწარმოო დავალება.

საპირველმაისო დემონსტრაციაზე ახალი წარმატებებით მოვიდნენ ქიმიკოსები. აბორიგენებენ რა დეკემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს რუსთავის ქიმიკოსებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს ქიმიური სასუქების წარმოება, ითვისეს ახალი პროდუქციის წარმოება.

ქიმიკოსთა კოლონები შეეკვლეს სახელოვანმა მშენებლებმა. მათ სამშობლოს უპატაკეს ახალი წარმატებანი, ააშენეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს ათასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობანი.

დემონსტრანტთა კოლონებში ამჟამად მოაბიჯებენ მეცემენტეები, მექანიზატორები, მემონტაჟეები, რომლებმაც ასევე წარმატებით გაანაღდეს 4 თვის საწარმოო დავალებანი.

დემონსტრაცია დამთავრდა, ქალაქის პარკებსა და ბაღებში დასვენებისა და სხვა თავშეყრის ადგილებში მშრომელებისათვის განხორციელდა კულტურული გართობის მრავალი ღონისძიებანი.

რეპორტაჟი რუსთაველის პროსპექტიდან, მოზეიმე ქალაქების ქუჩებიდან მიჰყავდათ „კომუნისტის“ სპეციალურ კორესპონდენტებს **რ. დვალიშვილს შ. ჯაფარიძეს, ი. გოგებიჩას, რ. გორგაძეს, ი. თედიაშვილს, ზ. მერკვილაძეს;**





1964 წლის 1 მაისს ხამხედრო პარადი და თბილისის მშრომელთა დემონსტრაცია რუსთაველის პროსპექტზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა და ვლ. გინზბურგისა.

მეცხოველეთა წარმატება

საჩხერის საწარმოო სამმართველოს მიენიჭა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფსაბჭომ დაადგინეს:

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭოს საჩხერის საწარმოო სამმართველოს 1964 წლის პირველ კვარტალში სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის და ამავე დროს პირუტყვისა და ფრინველის სულადობის ზრდისათვის.

საჩხერის საწარმოო სამმართველომ მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმა შეასრულა ხორცისა — 149,9 პროცენტით, რძისა — 126,7 პროცენტით, კვერცხისა — 188,1 პროცენტით.

1964 წლის 1 იანვართან შედარებით, მიმდინარე წლის პირველი აპრილისათვის ყველა სახეობის პირუტყვისა და ფრინველის სულადობა შეადგენდა: ძროხისა — 100,6 პროცენტს (მათ შორის ფურისა 97 პროცენტს) ცხვრისა და თხისა — 126,2 ღორისა — 106,5, ფრინველისა — 106,4 პროცენტს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფსაბჭომ აღნიშნეს მახარაძის, წულუკიძის, ცხკაიას, სიღნაღის, ლანჩხუთის, გეგეჭკორის, ამბროლაურის, წყალტუბოს, ზესტაფონის და მაიაკოვსკის საწარმოო სამმართველოების კარგი მუშაობა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების საქმეში. (საქდისი).

ზუგდიდის რაიონმა შეასრულა დაფნის ფოთლის დამზადების გეგმა

ზუგდიდის რაიონის მეურნეობებმა შეასრულეს დაფნის ფოთლის დამზადების გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 890 ტონისა დამზადებულია 997 ტონა.

მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს დამზადონ კიდევ 200 ტონა დაფნის ფოთოლი. (საქდისი).

განის ქალთა დელეგაცია საქართველოში

საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის მოწვევით საბჭოთა კავშირში იმყოფება განის ქალთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან განის ქალთა ეროვნული საბჭოს ეროვნული მდივანი მარგარეტ მარტეი, განის ქალთა ეროვნული საბჭოს წევრი აკრიდან მარგარეტ ტომპსონი, განის ქალთა ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელობის წევრი ლეტიშია კვეი და ტაკორადის პროვინციის ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე ესი ელუა.

3 მაისს აფრიკის ახალგაზრდა საელჩოფიოს წარმომადგენლები მოსკოვიდან თვითმფრინავით ხამოვიდნენ თბილისში. თბილისის აეროპორტში მათ შეხვდნენ საქართველოს ქალთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ე. ღონტი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე თ. გრიგალაშვილი.

4 მაისს დელეგაციამ გაისეირნა ქალაქში, ეწვია თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკას, სადაც გაეცნო მესოველთა შრომითს პირობებს, იყო საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში, განის წარმომადგენლები ბათუმს გაემგზავრნენ, სადაც ეწვევიან საქართველოს სუბტროპიკული ზონის ერთ-ერთ კოლმეურნეობას, შემდეგ კი ბაქოს გაფრინდებიან. (საკლისი).





სურათებზე (მარცხნიდან მარჯვნივ): 1964 წლის მაისის დღესასწაული ხოლოსუმში, ბათუმში, ცხინვალსა და ქუთაისში.

(საქდესის ფოტოკორონიკა).

პირველი მაისის ალმებით

მსოფლიოს ყველა კონტინენტის მშრომელმა ადამიანებმა ფართოდ და საზეიმოდ აღნიშნეს პირველი მაისის დღესასწაული — საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დღე.

სადღესასწაულოდ იყო მორთული 1 მაისს სოციალისტური ქვეყნების ქალაქები და სოფლები.

ვარშავაში 300-ათასიანი დემონსტრაციის მონაწილეთა წინაშე საუცხოო წარმოთქვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. გომულკამ. მან მიულოცა შრომელებს დღესასწაული და ილაპარაკა ცხოვრების სხვადასხვა დარგში სახალხო პოლონეთის მიღწევებზე.

მშრომელთა დემონსტრაციები და მასობრივი მიტინგები გაიმართა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა სავოევოდო ქალაქში.

ბერლინში მარქსისა და ენგელსის მოედანზე ტრიბუნაზე იყვნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულბრიხტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. გროტეოული, გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი მ. რაიმანი, უცხოელი სტუმრები.

პრაღელ დემონსტრანტებს სიტყვით მიმართა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ნოვოტნიმ. მან პირველი მაისი მიულოცა ჩეხოსლოვაკიისა და მთელი მსოფლიოს მშრომელებს. ჩვენ გულითადად, ამხანაგურად ვულოცავთ, თქვა მან, უწინარეს ყოვლისა მოძმე საბჭოთა ხალხს, რომლის დახმარებასა და მხარდაჭერასთან მუდამ იყო და იქნება დაკავშირებული ჩვენი ხალხების თავისუფლება და ჩვენი მშრომელების გამარჯვებანი.

გუდაპეშტში საპირველმაისო დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო უნგრეთის დედაქალაქის დაახლოებით მეოთხედმა მილიონმა მცხოვრებმა. ტრიბუნაზე იყვნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. დობი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე ი. კადარი, საბჭოთა კოსმონავტი მფრინავი ა. ნიკოლაევი, რომელიც სტუმრად იმყოფება უნგრეთში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქის — პეკინის პარკებსა და სტადიონებზე დილიდანვე ათიათასობით მუშამ, მოსწავლემ, მახლობელი სოფლების გლეხმა მოიყარა თავი. ისინი შეიკრიბნენ სადღესასწაულოდ, რათა აღენიშნათ პირველი მაისი. შემდეგ საწარმოებს, დაწესებულებებსა და სასწავლებლებს - წარმომადგენელთა კოლონებმა გაიარეს ცენტრალური ქუჩა და ტიანანმინის მოედანი.

საღამოს პეკინის ცა ფეიერვერკის შუშხუნებით აელვარდა.

სოფიაში დემონსტრაციის მონაწილეთა სადღესასწაულოდ მორთულ კოლონებს მოჰქონდათ მარქსის, ენგელსის, ლენინის, ბლაგოევის, დიმიტროვის, ტოდორ ჟივკოვის, ნ. ს. ხრუშჩოვის პორტრეტები, ლოზუნგები, რომლებიც ადიდებდნენ ბულგარეთის კომპარტიასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ბულგარეთის ურღვევ მეგობრობას საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან.

ქალაქ პლოვდივის მშრომელთა მრავალათასიან დემონსტრაციას ესწრებოდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი.

ბუქარესტში დღესასწაული დაიწყო მშრომელთა მიტინგით, რომელიც ავიატორთა მოედანზე გაიმართა. მიტინგის მონაწილენი მხურვალედ მიესალმნენ რუმინეთის მუშათა პარტიის ხელმძღვანელებს, რომლებიც რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, გ. გეორგიუ-დეჟისა და პროფკავშირების მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივნის ლუი საიანის მეთაურობით ავიდნენ ტრიბუნაზე.

მიტინგის შემდეგ გაიმართა მშრომელთა დემონსტრაცია.

საზეიმოდ აღნიშნეს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე კუბელმა ხალხმა. მასობრივი დემონსტრაცია ჰავანაში რამდენიმე საათს გაგრძელდა. დაუსრულებელ კოლონებს მოჰქონდათ ვ. ი. ლენინის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ფიდელ კასტროს, ხოსე მარტის უზარმაზარი პორტრეტები.

დილიდანვე ათასეულ ქალაქის ქუჩები საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულმა ულანბატორელებმა. დემონსტრანტთა კოლონები უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა დედაქალაქის ცენტრალური მოედნისაკენ, სადაც ზეიმი გაიმართა.

1 მაისის აღსანიშნავად ბელგრადში რევოლუციის ბულვარზე გაიმართა იუგოსლავიის სახალხო არმიის ჯარების პარადი. ცენტრალურ ტრიბუნაზე იყვნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები პრეზიდენტ ი. ბროზ ტიტოს მეთაურობით.

პარადის შემდეგ გაიმართა მშრომელთა მასობრივი დემონსტრაცია.

დღესასწაული საზეიმოდ აღინიშნა მთელ მსოფლიოში.

მშრომელთა მრავალრიცხოვანი მასობრივი მანიფესტაციები ყველგან გაიმართა. საფრანგეთში ათასობით მშრომელმა მოიყარა თავი მიტინგზე, რომელიც პარიზის შრომის პალატის შენობის წინ მოეწყო.

ერთსულოვნად აღნიშნეს 1 მაისის დღესასწაული იტალიელმა მუშებმა.

ყველა ქალაქში მასობრივ მიტინგებსა და დემონსტრაციებში მონაწილეობა მიიღო მილიონობით მშრომელმა.

ამერიკის შეერთებული შტატების უდიდეს ცენტრებში — ჩიკაგოში, ფილადელფიაში, ნიუ-იორკში გაიმართა მშრომელებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლების საპირველმაისო მიტინგები.

მშრომელთა 5-ათასიანი დემონსტრაცია გაიმართა ესპანეთის ქალაქ ბილბაოში. აქ გაიძახოდნენ ლოზუნგებს: „თავისუფლებას!“, „ძირს კაპიტალიზმი!“, „გაუმარჯოს მუშათა კლასს!“, პოლიციამ გარეკა დემონსტრანტები. დაპატიმრებულია 10 კაცი.

ლისაბონში გაიმართა საპირველმაისო დემონსტრაციები. სალაზარის პოლიციამ სროლა აუტეხა დემონსტრანტებს.

საპირველმაისო მიტინგები და დემონსტრაციები გაიმართა შვეიცარიის, ავსტრიის, შვეიცარიის, ნორვეგიის, შვეიცარიის, დანიის, ბელგიის, ისლანდიის ბევრ ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში.

...მზის სხივებით არის გაკაშკაშებული სადღესასწაულოდ მორთული ალჟირი. ქალაქის ცენტრალურ მოედნებზე დილადანვე დაეწყვნენ დემონსტრანტთა კოლონები. დედაქალაქის მცხოვრებლებთან ერთად დემონსტრაციაში მონაწილეობენ მახლობელი სოფლების გლეხებიც. მათ მოაქვთ ლოზუნგები: „წინ, სოციალიზმის შენებლობისათვის!“, „ძირს ნეოკოლონიალიზმი!“

ფართოდ აღნიშნეს პირველი მაისი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მშრომელებმა. კაიროში გაიმართა საზეიმო მსვლელობა, მუშათა კოლონებმა ჩაიარეს რესპუბლიკის მოედანზე, სადაც მათ მიესალმებოდა პრეზიდენტი ნასერი. სადამოს გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელზეც ვრცელი სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა ნასერმა.

ზანზიბარში საპირველმაისო დემონსტრაცია მიმდინარეობდა ლოზუნგებით: „სიკვდილი იმპერიალიზმსა და ნეოკოლონიალიზმს!“, „გაუმარჯოს მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობას!“.

მიტინგებით, დემონსტრაციებითა და საზეიმო მსვლელობით აღნიშნეს პირველი მაისი განის, გვინეის, მალის, მაროკოს, ტუნისის, ლიბანის, ისრაელის მშრომელებმა.

ინდოეთის დედაქალაქის — დელის პროფკავშირულ ცენტრებში დილიდანვე იყო გამოკიდული წითელი ალმები. მუშათა რაიონების ქუჩები მორთული იყო ლოზუნგებითა და პლაკატებით. ხალხმრავალი დემონსტრაციებითა და მიტინგებით შეხვდნენ პირველი მაისის დღესასწაულს ცეილონელები.

...მზის სხივებით არის გაკაშკაშებული სადღესასწაულოდ მორთული ალჟირი. ქალაქის ცენტრალურ მოედნებზე დილადანვე დაეწყვნენ დემონსტრანტთა კოლონები. დედაქალაქის მცხოვრებლებთან ერთად დემონსტრაციაში მონაწილეობენ მახლობელი სოფლების გლეხებიც. მათ მოაქვთ ლოზუნგები: „წინ, სოციალიზმის შენებლობისათვის!“, „ძირს ნეოკოლონიალიზმი!“

ფართოდ აღნიშნეს პირველი მაისი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მშრომელებმა. კაიროში გაიმართა საზეიმო მსვლელობა, მუშათა კოლონებმა ჩაიარეს რესპუბლიკის მოედანზე, სადაც მათ მიესალმებოდა პრეზიდენტი ნასერი. სადამოს გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელზეც ვრცელი სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა ნასერმა.

ზანზიბარში საპირველმაისო დემონსტრაცია მიმდინარეობდა ლოზუნგებით: „სიკვდილი იმპერიალიზმსა და ნეოკოლონიალიზმს!“, „გაუმარჯოს მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობას!“.

მიტინგებით, დემონსტრაციებითა და საზეიმო მსვლელობით აღნიშნეს პირველი მაისი განის, გვინეის, მალის, მაროკოს, ტუნისის, ლიბანის, ისრაელის მშრომელებმა.

ინდოეთის დედაქალაქის — დელის პროფკავშირულ ცენტრებში დილიდანვე იყო გამოკიდული წითელი ალმები. მუშათა რაიონების ქუჩები მორთული იყო ლოზუნგებითა და პლაკატებით. ხალხმრავალი დემონსტრაციებითა და მიტინგებით შეხვდნენ პირველი მაისის დღესასწაულს ცეილონელები.

ბიდსტრუპი: დიდად გედნიერი ვარ



ბერლინი, ხაზდესის კორესპონდენტი ე. ბაშმანნიგოი იუწყება:

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში გავლით იყო შესანიშნავი დანიელი მხატვარი-კარიკატურისტი ჰერლუფ ბიდსტრუპი, რომელსაც მიენიჭა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია. საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ჰ. ბიდსტრუპმა ამის გამო განაცხადა:

„დიდად ბედნიერი და მადლობელი ვარ, რომ მომენიჭა ეს დიდი პრემია, ვფიქრობ, რომ ჩემი შემდგომი მუშაობით გავამართლებ ამ მაღალ ჯილდოს. ჩემს ფანქარს ვიყენებ, როგორც იარაღს მუშათა კლასის უფლებებისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. მოხარული ვარ, რომ ასეთ პატარა იარაღს მიენიჭა ისეთი დიდი პრემია, რომელიც ლენინის სახელს ატარებს“.

მეგობროგა კიდევ უფრო განმტკიცდეგა

ალჟირი, 4 მაისი. (საკდესი). ალჟირის ყველა გაზეთი კვლავ ძირითად ყურადღებას უთმობს პრეზიდენტ ა. ბენ-ბელას ვიზიტს საბჭოთა კავშირში. ისინი თვალსაჩინო ადგილს ბეჭდავენ ფოტოსურათებს, რომლებზეც აღბეჭდილია ალჟირის მთავრობის დელეგაციის მისვლა ყირიმის საბჭოთა მეურნეობა „ბორნიში“.

გაზეთი „პეპლი“, რომელიც აშუქებს საბჭოთა კავშირ-ალჟირის მოლაპარაკების მსვლელობას, წერს:

„საბჭოთა ხალხმა, რომელმაც დახმარება გაუწია ალჟირელებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ მხარს უჭერს ჩვენს ქვეყანას“.

საბჭოთა ხალხისა და ალჟირელი ხალხის მეგობრობას, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, რომელსაც საფუძვლად უდევს ურთიერთპატივისცემა, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, კიდევ უფრო განმტკიცდება ამ მოლაპარაკების შედეგად, რომელიც გულითადობისა და ნდობის ვითარებაში მიმდინარეობს.

გაზეთი „ალჟერ რეპუბლიკენი“, ეზიარა იმას, რომ ალჟირის პრეზიდენტს აჰმედ ბენ ბელას „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია მიენიჭა, აღნიშნავს, რომ ეს არის „აღიარება ალჟირელი ხალხის დამსახურებისა მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში. ამ პრემიას, აგრეთვე საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭებას ბენ ბელასთვის დიდად აფასებს მთელი ალჟირელი ხალხი, რომელიც მადლობას უძღვნის თავის მეგობრებს ამ დიდი პატივისათვის, რაც სიამაყით ავსებს მათ გულს. ჩვენი ხალხი კვლავაც განმტკიცებს ურღვევ მეგობრობას, რომელიც ჩვენს ორივე ქვეყანას აკავშირებს“, — ხაზს უსვამს გაზეთი.

ბენ-ბელა—სამხედრო დამნაშავეს

ბონი, (საკდესი). 30 აპრილს ბოუმის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) სასამართლომ განაჩენი გამოიტანა ტარნოვის (პოლონეთი) გეტოს ყოფილი უფროსის გერმან ბლაჰეს საქმის გამო, რომელსაც დანაშაული მიუძღვის ექვსი ათასზე მეტი კაცის მოსპობაში. ეს ნაცისტი დამნაშავე პირადად ხოცავდა გეტოს ტყვეებს, სადისტურად აწამებდა უმწეო ადამიანებს. ბლაჰეს მიესაჯა სამუდამო პატიმრობა.

გრაფილიის ამგეგი

რიო-დე-ჟანეიროს, 4 მაისი. (საკდესი). რიო-დე-ჟანეიროს შტატის ასამბლეამ ხმა მისცა გენერალ პაულო ტორესის დანიშვნას შტატის გუბერნატორად. ყოფილ გუბერნატორს ბაჯერ სილვეირას პრეზიდენტმა დეკრეტით ათი წლით აჰყარეს პოლიტიკური უფლებები.

რიო-დე-ჟანეიროს შტატის ამბები, წერს 3 მაისის ნომრის სარედაქციო სტატიაში გაზეთი „ჟორნალ დო ბრაზილია“, მოწმობენ, რომ „წმენდის ოპერაცია“ კვლავ ჩაღდება მთელი ძალით. იმოწმებს რა უშიშროების ეროვნულ საბჭოსთან დაკავშირებულ წყაროებს, გაზეთი აცხადებს, რომ მალე პოლიტიკურ უფლებებს აჰყრიან კიდევ 48 თვალსაჩინო მოღვაწეს. „ჟორნალ დო ბრაზილია“ და სხვა გაზეთები დაწვრილებით იუწყებიან, რომ ბრაზილიის სხვადასხვა შტატში გრძელდება მასობრივი დაპატიმრება და დევნა.

გაზეთი „კორეიო და მანია“ სარედაქციო სტატიაში წერს, რომ ბრაზილიაში სუფევს ნაღვლიანობა და შეშფოთება. გაზეთს მიაჩნია, რომ ბრაზილიას მოელის „ნაწილ-ნაწილ დაშლა და რომ თითოეულ ნაწილში გენერალური და საამხედრო მრჩევლები თვითნებურად განუსჯელად განახორციელებენ ძალაუფლებას“.

„ჟორნალ დო ბრაზილის“ მკითხველი მარიო მარტინსი წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ „მდგომარეობა ბრაზილიაში კვლავ შემაშფოთებელია“. იგი წერს, რომ ახლანდელი ტერორის პირობებში არავინ არ არის დარწმუნებული, რომ საშიშროება არ მოელოდეს.

კანის კინოფესტივალი

კანში გაიხსნა მხატვრული ფილმების მე-17 საერთაშორისო კინოფესტივალი. 23 ქვეყანამ, მათ შორის სსრ კავშირმა, ჩეხოსლოვაკიამ, უნგრეთმა, პოლონეთმა, საფრანგეთმა, იაპონიამ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, იტალიამ, რომლებიც მონაწილეობენ ამ ფესტივალში, წარმოადგინა 50 მხატვრული ფილმი. საბჭოთა კინემატოგრაფია ფესტივალზე წარმოდგენილია ორი სურათით — „დავდიოვრთ მოსკოვის ქუჩებში“ და „თეთრი ქარავანი“.

მერვე ტურის სიურპრიზები

2 მაისი საკავშირო ჩემპიონატის მერვე ტურის დღე იყო „ა“ კლასის პირველი ჯგუფის ფეხბურთელთა კოლექტივებისათვის.

სპორტული ზეიმი ლუჟნიკში დამთავრდა დედაქალაქის ორი კოლექტივის ცსკა-სა და „ტორპედოს“ მატჩით. მოსკოველებმა ნახეს ძველ მეტოქეთა შეუპოვარი ბრძოლა, რომელიც არმიელთა წარმატებით დამთავრდა. ანგარიშია 2:1. ერთ-ერთმა ლიდერმა — „ტორპედომ“ რიგით მეორე დამარცხება განიცადა.

კიევ ერთ ლიდერს — მოსკოვის „სპარტაკს“ გაუღიმა ბედმა კუიბიშევში. „კრილია სოვეტოვს“ ამჯერადაც ტრადიციისათვის არ უღალატნია. მან მოახერხა ერთი ბურთის გატანა, შემდეგ კი ჩვეული ოსტატობით იცავდა საკუთარი კარის მისადგომებს და „სპარტაკს“ ორი ქულა გამოსტაცა. ეს „კრილია სოვეტოვის“ პირველი გამარჯვებაა.

მერვე ტურში კარგი დღე არც დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდს დაადგა. მისი მეტოქე მინსკის „დინამო“ არასტუმართმოყვარე აღმოჩნდა და ორი გოლის შედეგად სატურნირო ცხრილში 2 ქულა ჩაიწერა. ამ გამარჯვებით მინსკის დინამოელები ლიდერთა ჯგუფის მწყობრში ჩადგნენ.

ჩემპიონატის ერთ-ერთი დებიუტანტის იაროსლავლის „შინაკისა“ და კიევის „დინამოს“ ძალთა თანაფარდობაში ბევრს ეჭვი არ ეპარებოდა, ამიტომ გამარჯვებასაც უკრაინელ ფეხბურთელებს უწინასწარმეტყველებდნენ. ვარაუდი სწორი ჯერ კიდევ გამოდგა. „შინაკმა“ ოვიანი ნებისყოფა და სიმტკიცე გამოამჟღავნა და საპატიო ფრეს (2:2) მიაღწია.

დონეცკის „შახტიორის“ ფეხბურთელები ლენინგრადს ეწვივნენ და აქ პაექრობა ჰქონდათ „ზენიტთან“. მეტოქეებმა თითო ბურთის გატანა შეძლეს და აქტივში თითო ქულა ჩაიწერეს.

„პახტაკორის“ დამარცხება

2 მაისს გაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის გუნდების მორიგი ტურის მატჩები ფუხბურთში.

იგი აღინიშნა ერთ-ერთი ლიდერის დამარცხებით. მაგალითად, პირველ ქვეჯგუფში ტაშკენტის „პახტაკორმა“ წააგო ვილნიუსის „ჟალგირისთან“ 1:2.

მეორე ქვეჯგუფის მატჩების შედეგები ასეთია: „ურალმაში“ (სვერდლოვსკი)-„არარატი“ (ერევანი) 1:0, „ტრუდი“ (ეორონეჟი)-„ლოკომოტივი“ (თბილისი) 0:1, „შახტიორი“ (ყარაგანდა)-„მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:0, „დინამო“ (ტალინი)-სკა (ოდესა) 0:3, „ალგა“ (ფრუნზე)-„ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) 1:2.

კომუნისტი

ამერიკელთა ტურნეს ფინიში

ხუთი დამარცხება, მხოლოდ ერთი მოგება მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში — აი როგორი ბალანსით ეწვივნენ თბილისს ამერიკელი კალათბურთელები თავიანთი ტურნეს უკანასკნელი ორი შეხვედრისათვის.

ერთ-ერთი მათგანი შედგა 3 მაისს სპორტის სასახლეში. ამჯერად სტუმართა მეტოქე იყო ყაზახეთის გუნდი. სასტარტო ხუთეული ასე გამოიყურებოდა: **ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი** — ლარი ბრაუნი, ჩარლზ ბაურმენი, ჯერი შიპპი, ბობ ედმონდი, ჯიმ ბერნსი; **ყაზახეთის გუნდი** — ა. ასტახოვი, ო. ბოროდინი, ა. კანდელი, ა. ნიკიშინი, ვ. პლატონოვი.

ბრძოლა სტუმართა უპირატესობით წარიმართა. მათი კომბინაციები დახვეწილი და ეფექტური იყო, ტაორცნები კი დროული და ზუსტი. ამერიკელები ჩინებულად თამაშობდნენ ფარქვეშ. ამ მხრივ გამოირჩეოდნენ ჯერი შიპპი და ჯიმ ბერნსი.

ქულათა სხვაობა სტუმართა სასარგებლოდ იზრდებოდა. ამერიკელმა კალათბურთელებმა მოიგეს ტაიმი 27 ქულის სხვაობით — 50:23. მოსალოდნელი იყო რომ ყაზახეთის გუნდი წონასწორობის აღდგენას შეორე ტაიმში შეეცდებოდა, მაგრამ მან სასურველ შედეგს ვერ მიაღწია და დამარცხდა ანგარიშით 59:93.

ბუშინ კი ამერიკელთა წინააღმდეგ ძალებს ცდიდა საქართველოს ნაკრები. სტუმართა სასტარტო ხუთეულში იყვნენ — ბრაუნი, ბაურმენი, შიპპი, შერერი, ბერნსი; საქართველოს ნაკრების ხუთეულში — მიხაშვილი, მოსეშვილი, უგრეხელიძე, ალთაბაევი, ლეჟავა.

ანგარიში ამერიკელებმა გახსნეს, იქვე მინაშვილს შეეძლო თავისი გუნდი წინ გაეყვანა, მაგრამ ორი საჯარიმო ტყორცნიდან ვერც ერთი ვერ გამოიყენა. მალე მოსეშვილმა შორიდან ეფექტურად ჩაგდო ბურთი კალათში, რასაც მოჰყვა ლეჟავას ორი შედეგიანი საჯარიმო ტყორცნა და უკვე წინ იყვნენ ქართველი კალათბურთელები ანგარიშით 4:1.

ორი წუთის შემდეგ ბაურმენმა, შიპპმა, შერერმა და ბერნსმა ჯერ წონასწორობა აღადგინეს, შემდეგ კი წინ გაიყვანეს თავიანთი გუნდი — 9:8, 11:8, 17:10.

პირველი ტაიმის შედეგი იყო 45:33 სტუმართა სასარგებლოდ. მეორე ნახევრის დასაწყისში ჩვენი კალათბურთელები შეეცადნენ ბრძოლაში გარდატეხა მოეხდინათ, მაგრამ უშედეგოდ, გაიმარჯვეს სტუმრებმა 87:66.

ამერიკელი კალათბურთელებიდან მაყურებელთა საერთო მოწონება დაიმსახურა ბერნსმა, რომელმაც თავის გუნდს 23 ქულა მოუტანა. საქართველოს გუნდიდან გამოირჩეოდა მოსეშვილი (24 ქულა).

* * *

მართალია, ამერიკელები ხშირად სცოდავდნენ ძალისმიერი და უხეში თამაშით, მაგრამ სრულად შეუფერებელი იყო საბჭოთა სპორტსმენისათვის აშკარა ხულიგნური საქციელი ვ. ალთაბაევისა, რომელიც მაყურებელთა სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 5 მაისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (თბ.)	8	5	1	2	11—5	11
„სპარტაკი“ (მ.)	8	4	2	2	10—3	10
„ტორპედო“ (მ.)	8	4	2	2	11—8	10
„დინამო“ (კ.)	8	3	4	1	9—7	10
„დინამო“ (მნ.)	7	3	3	1	6—2	9
„დინამო“ (მ.)	7	3	2	2	11—7	8
„შახტიორი“ (დ.)	7	2	4	1	6—3	8
სკა (როსტ.)	8	4	0	4	7—8	8
„მოლდოვა“ (კიშ.)	7	3	2	2	4—6	8
ცსკა	8	2	4	2	5—7	8
„ნეფტჩანიკი“ (ბ.)	8	2	3	3	7—11	7
„ზენიტი“ (ლ.)	8	2	2	4	9—10	6
„კრ. სოვ.“ (კუიბ.)	7	1	4	2	2—4	6
„ალარატი“ (ალმ.)	7	1	3	3	5—8	5
„ტორპედო“ (ქ.)	8	2	1	5	5—8	5
„შინიკი“ (იარ.)	7	1	3	3	4—8	5
„ვოლგა“ (გორ.)	7	0	4	3	2—9	4

ორი საფეხურით მაღლა

მერვე ტურის წინ ქუთაისის „ტორპედო“ აუტსაიდერი იყო. მაგრამ აი გამარჯვება 2 მაისს საკუთარ მოედანზე ალმა-ატის „კაირატთან“, და გუნდმა ორი საფეხურით წაიწია წინ.

მეტოქეთა აღრინდელი შეხვედრების ბალანსი ქუთაისელთა სასარგებლოდ არაფერს მეტყველებდა. ამჯერად ტორპედოელებმა გადალახეს ზღუდეები და წარმატებასაც მიაღწიეს.

ტემპი თავიდანვე მაღალი იყო. იგი მოწინააღმდეგეს ქუთაისელებმა შესთავაზეს. სტუმრებმა ამოსუნთქვაც კი ვერ მოახერხეს, მეორე წუთზე მათი კარი „აღებული“ აღმოჩნდა, კუტივაძის წამოწყებული კომბინაცია ღრმა რეიდით განავითარა მუშლაძემ და იგი გოლით დაგვირგვინა.

ალმაატელთა ერთ-ერთი კონტრშეტევისას ქუთაისელთა კარი ძელმა იხსნა, ხოლო მე-19 წუთზე „კაირატის“ კარში მეორე ბურთი აღმოჩნდა. სტუმართა მცველმა სტულოვმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი.

პირველი ნახევრის ეს ანგარიში უცვლელი დარჩა. გაიმარჯვეს ქუთაისელებმა 2:0.

დევისის თასზე

კასაბლანკაში დამთავრდა სსრ კავშირისა და მაროკოს ნაკრები გუნდების მატჩი ჩოგბურთში დევისის თასზე.

ასპარეზობის პირველ დღეს თ. ლეიუსმა (ტალინი) დაამარცხა ლ. შადლი 6:2, 8:6, 6:4, ა. მეტრეველმა (თბილისი) წააგო ორთაბრძოლა ხ. ბუშაიბისთან 5:7, 6:2, 6:8, 1:6. წყვილთა პაექრობაში თ. ლეიუსმა და ს. ლიხაჩოვმა (ბაქო) სძლიეს ლ. შადლისა და ხ. ბუშაიბის 6:3, 6:1, 6:1. უკანასკნელ დღეს ა. მეტრეველი თამაშობდა ლ. შადლისთან და გაიმარჯვა 8:6, 6:1, 4:6, 6:2, თ. ლეიუსმა კი დაამარცხა ხ. ბუშაიბი 6:0, 2:6, 6:2, 6:4.

ამრიგად, დევისის თასის გათამაშების პირველ ეტაპზე სსრ კავშირის ჩოგბურთელებმა დაამარცხეს მაროკოს გუნდი, ანგარიშით 4:1. მეორე წრეში ჩვენი ჩოგბურთელები შეხვდებიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს.

მაღალი ჯილდო

ბუდაპეშტი, 3 მაისი. (საკდესი). კოსმოსის ათვისებაში თვალსაჩინო დამსახურების აღიარების ნიშნად უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმმა საბჭოთა კოსმონავტი მფრინავი, პოდპოლკოვნიკი ა. გ. ნიკოლაევი დააჯილდოვა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ბრილიანტებით მოოჭვილი პირველი ხარისხის დროშის ორდენით. დღეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე იშტვან დობმ ანდრიან ნიკოლაევს გადასცა ეს მაღალი ჯილდო. ჯილდოს გადაცემას დაესწრნენ უნგრეთის ხალხის მეგობრობას საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან.

ქალაქ პლოვდივის მშრომელთა მრავალათასიან დემონსტრაციას ესწრებოდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. დობი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე ი. კადარი, საბჭოთა კოსმონავტი მფრინავი ა. ნიკოლაევი, რომელიც სტუმრად იმყოფება უნგრეთში.

„ალჟერ რეპუბლიკენი“, ეზიარა რა იმას, რომ ალჟირის პრეზიდენტს აჰმედ ბენ ბელას „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია მიენიჭა, აღნიშნავს, რომ ეს არის „აღიარება ალჟირელი ხალხის დამსახურებისა მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში. ამ პრემიას, აგრეთვე საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭებას ბენ ბელასთვის დიდად აფასებს მთელი ალჟირელი ხალხი, რომელიც მადლობას უძღვნის თავის მეგობრებს ამ დიდი პატივისათვის, რაც სიამაყით ავსებს მათ გულს. ჩვენი ხალხი კვლავაც განმტკიცებს ურღვევ მეგობრობას, რომელიც ჩვენს ორივე ქვეყანას აკავშირებს“, — ხაზს უსვამს გაზეთი.

„ალჟერ რეპუბლიკენი“

„ალჟერ

„ალჟერ

„ალჟერ